# ქეჯო

„... და მაშინ განიხარონ ყოველთა ქართველთა"

№34, ოთხშაბათი, 13-26 თებერვალი, 2002 წელი

ფასი 40 თეთრი

## ინფორმაცია

### საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის მორიგი სხდომის შესახებ

2002 წლის 9 თებერვალს ქალაქ თბილისში ჩატარდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის მორიგი სხდომა.

დღის წესრიგში შეტანილი იყო შემდეგი საკითხები:

1. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და მთავრობის მიმართვა მსოფლიო საზოგადოებრიობისადმი, სახელმწიფოთა მეთაურებისადმი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი, ევროპის საბჭოსადმი, მსოფლიოს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი, საქართველოში არსებული დიპლომატიური მისიებისადმი, ყველა კეთილი ნების ადამიანისადმი

(საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი მანანა არჩვაძე-გამსახურდია);

2. შიდა ქართლში (სამაჩაბლო) პოლიტიკური ვითარების შესახებ

(დეპუტატი ა. მათიაშვილი);

3. სხვადასხვა.

12 თებერვალი - მირქმა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი

25 თებერვალი - ივერიის ღვთისმშობლის ხატის ასლის ჩამობრძანება საქართველოში



# მიმართვა

## მსოფლიო საზოგადოებრიობისადმი, სახელმწიფოთა მეთაურებისადმი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი, ევროპის საბჭოსადმი, მსოფლიოს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი, საქართველოში არსებული დიპლომატიური მისიებისადმი, ყველა კეთილი ნების ადამიანისადმი

საბჭოთა კავშირის სამოცდაათწლიან ისტორიაში პირველად, 1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოში ჩატარდა მრავალპარტიული დემოკრატიული არჩევნები, რომელშიც დიდი უპირატესობით გამარჯვება მოიპოვა საარჩევნო ბლოკმა „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო", ზვიად გამსახურდიას წინამძღოლობით.

1990 წლის 14 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი სესია საბჭოთა მთავრობის შეცვლილების შეუდგა. დაიწყო მრგვალი მაგიდის პოლიტიკური და ეკონომიკური პროგრამის პრაქტიკული განხორციელება.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უფლებამოსილება განისაზღვრა 5 წლის ვადით (საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია. მუხლი 114). ამავე დროს, 112-ე მუხლის თანახმად: „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი თავის უფლებამოსილებას ინარჩუნებს ახლადარჩეულ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველ სხდომამდე."

1991 წლის 31 მარტს ჩატარებული რეფერენდუმის შედეგად, საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობამ ხმა მისცა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე. რეფერენდუმის შედეგი გახდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების სამართლებრივი და ზნეობრივი საფუძველი, რითაც მთელ მსოფლიოს ეცნობა ქართველი ერისა და მთლიანად საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის ერთსულოვანი ნება. ამ იურიდიული აქტის საფუძველზე, 1991 წლის 27 აგვისტოდან დღემდე, საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა სცნო მსოფლიოს 59-მა სახელმწიფომ, საქართველოს რესპუბლიკა, როგორც სუვერენული სახელმწიფო, გაერთიანდა გაეროსა და ეუროსაბჭოში, გახდა საერთაშორისო სამართლის სრულუფლებიანი სუბიექტი.

1991 წლის 9 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული იქნა 293-ე დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობის შემოღების შესახებ.

ამავე წლის 14 აპრილს საგანგებო სხდომაზე მიღებული იქნა 294-ე კანონი საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობის დაწესებისა და, ამასთან დაკავშირებით, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ".

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 14 აპრილის 297-ე დადგენილებით, 1991 წლის 26 მაისს, დაინიშნა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები, საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით. ცენტრალურ საარჩევნო კომისიას დაევალა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფა.

1991 წლის 26 მაისს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩეულ იქნა ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდია.

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 122/2 მუხლის თანახმად საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილება განისაზღვრა ხუთი წლის ვადით.

1991-93 წლებში საქართველოში ადგილობრივი კრიმინალების, ცრუ პოლიტიკური პარტიების, შეიარაღებული დაჯგუფებების, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის, რუსეთის სპეცდანიშნულების რაზმის, ძერჟინსკის სახელობის დივიზიის, 345-ე საპაერო-სადესანტო პოლკის, შავი ზღვის სამხედრო-საზღვაო ფლოტის უშუალო მონაწილეობით დამხობილ იქნა 1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიულ, საყოველთაო, დემოკრატიულ არჩევნებში გამარჯვებული ლეგიტიმური ხელისუფლება: საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ინსტიტუტი, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოები (პრეფექტურები და საკრებულოები).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და მთავრობა, საერთაშორისო სამართლის ნორმების გათვალისწინებით, საჭიროდ მიიჩნევს:

1. დე ფაქტო ხელისუფლებამ წარმოადგინოს კანონი, დადგენილება, ბრძანებულება ან რაიმე სხვა სამართლებრივი აქტი, რომლის მიხედვითაც კანონიერად ჩაითვლებოდა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს წინააღმდეგ უცხო ძალის (რუსეთის, უკრაინის) გამოყენება, ხელისუფლების დამხობის მიზნით.

2. დე ფაქტო ხელისუფლებამ წარმოადგინოს იურიდიული დოკუმენტი, სადაც დაფიქსირებული იქნება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატების მიერ უფლებამოსილების მოხსნა ან შეწყვეტა, რომელშიც დასაბუთებული იქნება მათი უფლებამოსილების ხუთწლიანი ვადის იურიდიული დარღვევა.

3. დე-ფაქტო ხელისუფლებამ წარმოადგინოს იურიდიული დოკუმენტი საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ უფლებამოსილების მოხსნის, სხვა პირისათვის გადაცემის ან ხუთწლიანი ვადის ამოწურვის შესახებ.

4. დე-ფაქტო ხელისუფლებამ წარმოადგინოს იურიდიული დოკუმენტი, რომელშიც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და მთავრობა, პრეზიდენტის ინსტიტუტი, ადგილობრივი მმართველობის და თვითმმართველობის ორგანოები აღიარებენ თავიანთი უფლებამოსილების ვადის გასვლას, სხვა პირებისა ან ლეგიტიმური სახელმწიფო ორგანოებისათვის უფლებამოსილების გადაცემას ან შეწყვეტას. წარმოადგინონ კანონიერი ხელისუფლების მიერ კაპიტულაციაზე ხელმოწერის იურიდიული დოკუმენტი.

ზემოხსენებული დოკუმენტების წარმოუდგენლობის შემთხვევაში, სამხედრო-სახელმწიფო გადატრიალებაზე და ამის შემდგომ საქართველოში განვითარებულ მოვლენებზე მთელი პასუხისმგებლობა დაეკისროს საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი ხელისუფლების დამხობის ხელმძღვანელებსა და მონაწილეებს.

მოცემულ დოკუმენტს დაერთოს იურიდიული მტკიცებულებები და ჩაბარდეს ევროსაბჭოს საერთაშორისო სამართლის ექსპერტებს, რომელნიც პოლიტიკურ-სამართლებრივ შეფასებას მისცემენ 1991-93 წლებში საქართველოში მომხდარ სახელმწიფო-სამხედრო გადატრიალებას, რაც ჩადენილი დანაშაულის იურიდიული კვალიფიკაციისა და შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიების გატარების საფუძველი გახდება.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
ვიქტორ ფხალაძე

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი
მანანა არჩვაძე-გამსახურდია

თბილისი, 2002 წლის 2 თებერვალი

**პრესკონფერენციის მასალები:** ვინ დახოცა ქართველობა 2 თებერვალს; ვინ მოკლა ზვიად გამსახურდია; რუსეთის რომელმა სამხედრო ნაწილებმა მოახდინეს საქართველოს ოკუპაცია 1991-93 წლებში... რას ფიქრობენ ამ დროს ჩვენი' თანამედროვე „წითელი ინტელიგენციის" წარმომადგენლები და ვაიპოლიტიკოსები...

გვ.2-5

**ლეილა დოკვაძე:** ჩემს რძალთან ყოველდღე ორი კაცი მიდიოდა. ისინი ემუქრებოდნენ დაპატიმრებით, ბავშვებს კი უპატრონო ბავშვთა სახლში ჩავაბარებთო - ამბობდნენ

გვ.6

**2002 წლის 2 თებერვალს, ჟურნალისტთა სახლში ჩატარდა პრესკონფერენცია, რომელიც მიეძღვნა საქართველოს უახლესი ისტორიის ერთ-ერთ ტრაგიკულ ფურცელს - ზუსტად ათი წლის წინ ნახევარ მილიონიანი მშვიდობიანი მანიფესტაციის დახვრეტის ფაქტს.**

პრესკონფერენცია გახსნა სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის პრეზიდენტმა ***გიორგი ქერვალიშვილმა***, რომელმაც განაცხადა:

ათი წელი გავიდა, რაც ახლად მოვლენილმა ტერორისტებმა – სიგუამ, კიტოვანმა და იოსელიანმა – მრავალათასიანი მიტინგი და მანიფესტაცია დახვრიტეს. თუმცა იმჟამად მთავარი ტერორისტი შევარდნაძე მოსკოვში ბრძანდებოდა, მაგრამ მისი ხელი გამუდმებით იგრძნობოდა მაშინდელ სისხლიან მოვლენებში. ხუნტის მიერ მრავალი მიტინგი დაიხვრიტა, მაგრამ 1992 წლის 2 თებერვლის ტრაგედიამ, ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა. დღევანდელი ჩვენი პრესკონფერენცია ტარდება ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის ეგიდით, აქ იმყოფება ***საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და საქართველოს მთავრობა***. პრემიერ-მინისტრთან ქალბატონ მანანა არჩვაძე-გამსახურდიასთან ერთად. ჩვენ უნდა დავსახოთ სამოქმედო გზა, რათა საქართველოში აღარ მძვინვარებდეს ტერორისტული რეჟიმი. დღევანდელი ჩვენი შეხვედრა ეძღვნება არა მარტო 2 თებერვალს დაღუპულებს, არამედ საქართველოსა და კანონიერი ხელისუფლებისათვის დაღუპულ ყველა გმირს.

გიორგი ქერვალიშვილმა აღნიშნა, რომ **1992 წლის 2 თებერვალს დაღუპული მედროშე მამუკა ტერაშვილი უშუალოდ ცნობილი ჯალათის გელა ლანჩავას მიერ იქნა მოკლული...**

პრესკონფერენციაზე მყოფმა საზოგადოებამ წუთიერი დუმილით პატივი მიაგო ამ დღეს დაღუპულ გმირებს.

პრესკონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი, საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდის სპიკერი **ქალბატონი მანანა არჩვაძე-გამსახურდია**:

„მოგესალმებით ყველას, დღევანდელი დღე განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, ცხადია, დრო არ გვეყოფა ქართველი გმირებისათვის კუთვნილი პატივის მისაგებად, მაგრამ მთავარია ითქვას სიმართლე იმის შესახებ, თუ რა მოხდა უკანასკნელი ათი წლის მანძილზე, როდესაც საქართველოში დამხობილ იქნა კანონიერი ხელისუფლება. ძალადობით მოსულმა ხუნტამ საქართველოს ტერიტორიაზე დანაშაულებრივი ქმედებები ჩაიდინა; ვეცდები ამ მოვლენათა მოკლე ანალიზი შემოგთავაზოთ. 2 თებერვლით მე სიმბოლურად გავაერთიანებდი ყველა იმ მიტინგისა და მანიფესტაციის დარბევას, რომლებიც დაიწყო ჯერ კიდევ 1991 წელს სექტემბრის თვეში, სწორედ ამ დროიდან შეუდგა მხედრიონი მოსკოვის დაკვეთის შესრულებას, რომელიც მიზნად ისახავდა კანონიერი ხელისუფლების დამხობას. 2 თებერვალი ავირჩიეთ იმიტომ, რომ სრულიად საქართველოს მოსახლეობამ ასე ჩათვალა, იმიტომ რომ ჩვენს ისტორიაში 2 თებერვალი გამოცხადდა საყოველთაო გლოვის დღედ... მაშინ საბოლოოდ გამჟღავნდა ხუნტის დამოკიდებულება მოსახლეობისადმი, გაშიშვლდა მისი მიზნები: მოვიდნენ დემოკრატიის ნიღბით, მაგრამ მოგვევლინენ მკვლელებად, ტერორისტებად...

მაგრამ მათ ტერორი გაცილებით ადრე დაიწყეს. აუცილებელია ითქვას, თუ რა ხდებოდა პუტჩამდე. 2 სექტემბერს ე.წ. ოპოზიციამ, მოსკოვთან შეკრულმა მეამბოხეებმა, შევარდნაძის უშუალო ხელმძღვანელობით, მოაწყვეს თავდასხმა მომიტინგეებზე, ვინაიდან იმ პერიოდში იმყოფებოდა საქართველოში ამერიკიდან ორმოცი კონგრესმენი, რომელთაც აინტერესებდათ ჩვენს ქვეყანაში არსებული მდგომარეობა. სწორედ შევარდნაძემ თავის წარმომადგენლობას საქართველოში მისცა დავალება, რათა ის დღე დასამახსოვრებელი ყოფილიყო არა მარტო ამერიკელებისათვის, არამედ სრულიად საქართველოსათვის. მოგეხსენებათ ამ მომენტმა უდიდესი როლი ითამაშა კანონიერი ხელისუფლების დამხობაში. 2 სექტემბერს დაიწყეს შეიარაღებული თავდასხმა მომიტინგეებზე, თავად ხვრეტდნენ ხალხს იმ ცრუ პოლიტიკურ პარტიათა, უფრო სწორად, ბანდების, წარმომადგენლები.. რათა შემდეგ წარედგინათ ანგარიში ამერიკელებისათვის. ასეც მოხდა. დღის მეორე ნახევარში, როდესაც ამერიკელთა დელეგაცია იმყოფებოდა კრწანისის რეზიდენციაში, პაატაშვილების, დიხამინჯიებისა და სხვა მოღალატეთა მეშვეობით (თუმცა პრეზიდენტს ეს არ გამორჩენია) მოახერხეს დაკავშირება ამერიკის წარმომადგენლებთან, მუჭებით წარუდგინეს გასროლილი ტყვიის გულები, რითაც უმტკიცებდნენ, რომ ზვიად გამსახურდია დემოკრატი კი არა, ტერორისტი იყო.

**აი, აქედან დაიწყო შემზადება იმ 22 დეკემბრის აქციისა, რომელიც საბოლოო მიზნად ისახავდა კანონიერი პრეზიდენტის დამხობას.**

სამწუხაროა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ დანაშაულში უდიდესი წვლილი მიუძღვით იმ პოლიტიკურ პარტიებს, რომელთა წარმომადგენლებიც ბრძანდებოდნენ ასევე უზენაესი საბჭოს დეპუტატები. შესაძლოა, ახლა მაინც გაუღვიძოთ სინანულის გრძნობა და სურვილი დააფიქსირონ თავიანთი პოზიცია?!. ეს არ არის გასამართლება, უბრალოდ მათ უნდა თქვან სიმართლე. აქ იმყოფება საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც ყველაფრის მომსწრეა, რომელიც სწორად გაიგებს ყოველ სიტყვას.

2 სექტემბრის შემდგომ საქართველოში ყოველი დღე იყო უკიდურესად დაძაბული.. მეამბოხეები ყოველმხრივ ცდილობდნენ არეულობისა და დესტაბილიზაციის შექმნას რესპუბლიკაში, რათა მსოფლიოსათვის დაემტკიცებინათ, რომ ისინი უჯანყდებოდნენ არსებულ ხელისუფლებას. ამის მკაფიო მაგალითი გახლდათ გორბაჩოვის გამოსვლა, მან მთელი მსოფლიოს წინაშე განაცხადა, რომ საქართველოში არის სახალხო მღელვარება. ისინი ვერ ეგუებიან ახლად არჩეულ ხელისუფლებას, სინამდვილეში ასე არ გახლდათ. თავისი ნება ხომ გამოხატა იმ მოსახლეობამ, რომლის 87%-მა აირჩია პრეზიდენტი; ფაქტობრივად, სამჯერ მოხდა არჩევა, ეს გახლდათ: 1990 წლის 28 ოქტომბერი, 1991 წლის 31 მარტი, 1991 წლის მაისის საპრეზიდენტო არჩევნები. ეს უკვე ნათელყოფს საქართველოს მოსახლეობის ნებას. მაგრამ გორბაჩოვის ცრუ განცხადებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა; მოგეხსენებათ, გორბაჩოვი გახლდათ საბჭოთა კავშირის კომპარტიის გენერალური მდივანი და აქედან გამომდინარე მას კავშირები ჰქონდა უცხოეთთან, მას მხარს უმშვენებდა ედუარდ შევარდნაძე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე.

საქართველოს ყველა კუთხემ იგრძნო არა მარტო მხედრიონის, არამედ სხვა კრიმინალური ბანდების თავდასხმებიც. საქართველოს პრეზიდენტს და ხელისუფლებას არ ჰქონდა სურვილი მათთან დაპირისპირებისა, მაგრამ თავად ხელისუფლებაში არსებობდნენ დესტრუქციული ძალები, რომლებიც ყოველმხრივ ცდილობდნენ გაეხანგრძლივებინათ რუსთაველის გამზირის გადაკეტვა, რათა მსოფლიოსათვის ეჩვენებინათ, იმდენად ძლიერია ხალხის ნება, რომ პრეზიდენტს არ ძალუძს მისი ალაგმვაო. სინამდვილეში პირიქით იყო. პრეზიდენტი თავს იკავებდა და მოუწოდებდა მათ გონიერებისაკენ. რასაკვირველია, მათ იმთავითვე არ გაანდათ გონიერება და მერე როგორღა შეიძენდნენ... ამიტომ, რასაც კარნახობდა მოსკოვი, იმას აკეთებდნენ. საბოლოოდ ხელისუფლება იძულებული გახდა გაეთავისუფლებინა ცენტრალური პროსპექტი, როგორც ყველა სახელმწიფოსთვის მიუღებელი აქცია. წარმოიდგინეთ, თეთრი სახლის წინ რომ გადაეხერგათ ქუჩა ნაგვით, რამდენ წამს გააჩერებდნენ? **ზვიად გამსახურდიამ კი დაინდო ისინი. იფიქრა, რომ ისინი ქართველები იყვნენ და არ გაწირა...** სამწუხაროდ, დაზარალდა სრულიად საქართველო... ზვიად გამსახურდიაც ამის მსხვერპლი შეიქნა... ამას მოჰყვა თელასის შენობაზე თავდასხმა, რომელსაც შეეწირა პატრიოტი პიროვნება, გვარად **გიგანი**, და მასთან ერთად დაშავდა ოთხი პიროვნება, რომლებიც იცავდნენ თბილისის მოსახლეობას, რათა მათთვის არავის გამოერთო ელექტროენერგია. და დაპირისპირება არ გაჩენილიყო მოსახლეობასა და ხელისუფლებას შორის. სწორედ ამას ისახავდნენ ის ბანდები მიზნად. თავდასხმის აქციას, რასაკვირველია, მოსკოვიდან ხელმძღვანელობდნენ. ამ აქციას თბილისში სათავეში ედგნენ თედო პაატაშვილი, დიხამინჯია, ჩორგოლაშვილი, რომლებიც დასახლებულნი იყვნენ მიმდებარე ტერიტორიაზე. მათ ატეხეს სროლა, პირდაპირ ადამიანებს ესროდნენ. სასიკვდილოდ იმეტებდნენ იმ ხალხს, რომლებიც იცავდნენ ადამიანის უფლებებს, რადგან ელექტროენერგია ყველას სჭირდება, მით უმეტეს, საავადმყოფოებს, ფაბრიკა-ქარხნებს. დასახელებული მაგალითებიდანაც ნათლად ჩანს, რომ ისინი არიან ტერორისტები. ამიტომაა, რომ 2 თებერვალს დაღუპულებთან ერთად გვმართებს მოვიხსენიოთ ის ხალხი, ვინც სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ვითარებაში იცავდა საქართველოს დამოუკიდებლობას და კანონიერ ხელისუფლებას.

# 2 თებერვალი ბრალს სდებს შევარდნაძის, სიგუას, იოსელიანისა და კიტოვანის პუტჩისტურ უკანონო დე ფაქტო ხელისუფლებას



ყურადღება უნდა გავამახვილოთ ტელევიზიასთან მიმდინარე აქციებზე: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, ვაკის პრეფექტურაში, სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან. ეს აქციები არ ისახავდა მიზნად მათ დიალოგს ხელისუფლებასთან, არამედ ესწრაფვოდა ძალისმიერი გზით ხელისუფლების დამხობას. მათი მაშინდელი მიზნები დღეს სრულიად ნათლად იკითხება. თუნდაც დავეყრდნოთ იმ გამონათქვამებს, რომლებიც პუტჩისტებმა გამოაქვეყნეს იმდროინდელ პრესაში და შემდგომაც მრავალგზის გაიმეორეს. ჩვენ გვახსოვს და ვფიქრობთ საქართველოზე ყოველდღიურად. იმ ახალგაზრდებზე, იმ ადამიანებზე, ვინც თავი შესწირეს ჩვენს ქვეყანას. შეგვინდოს უფალმა, თუ მათ ყველას გვარს დღეს ვერ მოვიხსენიებთ. ჩვენ მართლმადიდებლები ვართ და მივაგებთ პატივს ყველას, ვინც ამის ღირსია.

**ახლა კი ნება მიბოძეთ რამდენიმე მაგალითზე შევჩერდე...**

არ შემიძლია დიდი გულისტკივილით არ აღვნიშნო რუსთაველის პროსპექტზე მომხდარი საშინელი შემთხვევა, რომელიც ირაკლი წერეთლის პარტიას აწევს ცოდვად. მან ვერ აიტანა რისხვა მოსახლეობისა, რომელიც ცდილობდა საკუთარი ინიციატივით რუსთაველის პროსპექტის გათავისუფლებას. წერეთლის პარტიის წევრებმა და წერეთელმა საშინელი შეურაცხყოფა მიაყენა ფეხმძიმე ქალბატონს, რომელიც იქვე დაიღუპა... **და დღეს ვეკითხები ირაკლი წერეთელს, ნუთუ მისი მეხსიერებიდან ამოიშლება თუნდაც ეს ერთი უბედურება?** მისი ბრძანებით ოთხი შვილის მამას არმატურის დიდი ნაჭერი ჩაარტყეს თავში და იგი ქალაქის პირველ საავადმყოფოში გარდაიცვალა. ეს გახლდათ ბატონი **ტრისტან ედიშერაშვილი**. მე მინდა მოვიხსენიო ჩვენს მიტინგზე გამოსული **გია აბესაძე**, რომელიც კანონიერი ხელისუფლების მომხრე გახლდათ. ის გამოვიდა ჩვენს მხარდამჭერ მიტინგზე და შემდგომ გადაწყვიტა მისულიყო და ეჩვია მოწინააღმდეგეებისათვის შეეწყვიტათ საქართველოსათვის დამღუპველი ქმედება. მაგრამ ამაოდ დაშვრა და პროტესტის ნიშნად იქ, სადაც ე.წ. მეამბოხეები იმყოფებოდნენ, ბენზინი გადაისხა და თავი დაიწვა. ეს იყო ძალიან გახმაურებული ამბავი. კოლხური კოშკის არქივში იყო დაცული მისი წერილი, რომელიც ზვიად გამსახურდიას გადასცა. რასაკვირველია, კოლხური კოშკის გაძარცვისას ის დოკუმენტი დაიკარგა (შესაძლოა დამწვარია), მაგრამ ასეთი დოკუმენტი არსებობდა, გია აბესაძის მიერ დაწერილი. რომელიც მხარდამჭერი გახლდათ ჩვენი და გმობდა იმ ძალებს, რომლებიც იმართებოდნენ მოსკოვიდან. ასევე მინდა დავასახელო ის პიროვნებები, რომლებიც უკვე თავად "ამბოხებას" ემსხვერპლენ. ეს იყო **გია ტეტელაშვილი**, ჩვენი ორგანიზაციის წევრი, რომელიც მოკლული იქნა ოქტომბრის თვეში, მთავრობის სახლის წინ. რა იყო ეს, თუ არა თავდასხმა ხელისუფლებაზე? სხვათა შორის, **ჟურნალისტების საყურადღებოდ მინდა განვაცხადო, თუ ვინ ისროლა პირველად.**

ისროლეს იმათ, ვინც დაიწყეს კანონიერი ხელისუფლების დამხობა.

აი, როგორ დაიწყო ხელისუფლების დამხობა და რა მსხვერპლი მოუტანა ხუნტამ ჩვენს ხალხს...

დღეს მე მსურს წაგიკითხოთ ჩვენი მიმართვა, რომელიც უდავოდ დააფიქრებს ყველას, ვინც მონაწილეა იმ საშინელებისა, რომელსაც ჰქვია საქართველოს კანონიერი ხელისუფლების ძალისმიერი გზით დამხობა, ქართველი ერის გენოციდი და ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის გასხვისება.

*ქალბატონმა მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ წაიკითხა 2002 წლის 2 თებერვლით დათარიღებული მიმართვის ტექსტი (დაბეჭდილია გაზეთის პირველ გვერდზე - რედ.).*

*შემდეგ ქ-ნმა მ. არჩვაძე-გამსახურდიამ აღნიშნა:*

ეს დოკუმენტი გახლავთ საფუძველი იმისა, რომ ხუნტამ ვერ აირიდოს პასუხისმგებლობა ჩადენილ დანაშაულზე. სწორედ მას უკავშირდება ის იურიდიული დოკუმენტები, რომლებიც შეფასდება საერთაშორისო ექსპერტების მიერ. ეს დოკუმენტი წარედგინება ყველას, ასევე საქართველოს მასმედიის წარმომადგენლებს, რათა მათ გამოაქვეყნონ პრესაში, რადიოსა და ტელევიზიაში. ჩვენ გვაქვს მასალები, რომლებიც არსად არ გამოქვეყნებულა. მოგეხსენებათ, ეს გახლდათ ტაბუირებული თემა.

აქვე, მინდა რამდენიმე ფრაზა დავაფიქსირო "ოთხეულის" წარმომადგენლების გამონათქვამებიდან:

გაზეთი "იბერია-სპექტრი" (21-27 მაისი 1992 წელი): "*გაფრთხილება: ყველა უკანონო მიტინგი იქნება დარბეული, ვინც წინააღმდეგობას გაგვიწევს ტყვიას ვესვრით*". ***ჯაბა იოსელიანი***. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა" (№ 1, 1992 წლის იანვარი), საუბრობენ ***კიტოვანი და იოსელიანი***: "*-სიკვდილი თქვენ, ხელისუფლება – ჩვენ!* "

გაზეთი "აღდგომა" (№2 1992 წლის 3.10), ***ჯაბა იოსელიანი***: "*შეკრულები უნდა ამოწყვიტო და ამ მიწაზე სხვები დაასახლო*". გაზეთმა "აღდგომამ" ეს მასალა გადმობეჭდა გაზეთ "Новое

გვ. 3

# 2 თებერვალი ბრალს სდებს შევარდნაძის, სიგუას, იოსელიანისა და კიტოვანის პუტჩისტურ უკანონო დე ფაქტო ხელისუფლებას

გვ. 2

время"-დან, იოსელიანი ინტერვიუს აძლევს არკადი დუბინოვს - 1992 წ.

გაზეთი "დრო"(№45, 1997 წ.), ***მამუკა გიორგაძე:*** *"ვინ თქვა, რომ ედპ-ს წევრები დეკემბერ-იანვარში არ ომობდნენ."*

ჩვენ უამრავი მასალა მოგვეპოვება, მაგრამ ახლა შევძლებ გავაცნოთ მხოლოდ ზოგიერთი "მეამბოხის" ზოგი განცხადება და ფრაზა.

ცხადია, კანონიერი ხელისუფლების დამხობამდე მოსამზადებელი სამუშაოები ტარდებოდა. ისინი თავიანთი გამოსვლებით ცდილობდნენ მოსახლეობის "მომზადებას", თუმცა მხოლოდ საკუთარი პოზიციის დაფიქსირება გამოუვიდათ. ეს პოზიცია მათ ძალიან ძვირად დაუჯდათ, ვინაიდან ვერ გაიანგარიშეს, რომ საქართველოს



მომავალს უტოვებდნენ ისეთ არქივს, რომელიც კანონიერი ხელისუფლების დამამხობელთა სამუდამო დაღს დაასვამს ისტორიაში. განსაკუთრებულ ჟღერადობას იძენს ეს გამონათქვამები დღეს, იმ მოვლენებიდან ათი წლის შემდეგ: *"ჩვენ ვართ მე-20 საუკუნის ქართველი მაძინისტები, ვიცით, რომ ვივლით მხოლოდ პოლიტიკური გზით და შეცდომას ვერ დავუშვებთ, იმიტომ რომ მართალნი ვართ ღვთისა და ერის წინაშე. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია არ თამაშობს ხალხის გრძნობებზე. ჩვენ ბრბოს ვაქცევთ ხალხად..."* (***გ. ჭანტურია***, გაზეთი "ლიტერატურული საქართველო", 18.X.89წ.

რასაკვირველია, ბრბოში ის გვგულისხმობდა ჩვენ და ქართველ ერს.

1992წ. 20-26 აგვისტო, გაზეთი "იბერია-სპექტრი":

***ნოდარ ლომოური:*** *"დღეს საკითხი ასე უნდა დაისვას: "ბანდიტები საბოლოოდ უნდა განადგურდნენ."*

***ლუიზა შაქიაშვილი:*** *"მოგიწოდებთ ყველას გვერდში ამოგვიდგეთ... დრო აღარ ითმენს, სატანას ცეცხლითა და მახვილით უნდა გავუსწორდეთ."*

***ელდარ შენგელაია:*** *"ბანდიტები უნდა მოშორდნენ საქართველოს, როგორც შავი ჭირი".*

***მზექალა შანიძე:*** *"ისინი უნდა მოისპონ, როგორც კუთხეში მომწყვდეული ვირთხები".*

***ირინა სარიშვილი:*** *"დღეს ის ვითარებაა, როდესაც ყველა აღშფოთებულია და მომხრეა, რომ ეს ბანდიტური ჯგუფები საბოლოოდ აილაგმოს."*

ბანდიტურ ჯგუფებში გულისხმობენ "დემოკრატები" მოსახლეობის 87%-ს!

"სარიშვილს გამართლებულად მიაჩნია მიტინგების დარბევა, ვინაიდან ის დესტაბილიზაციის მთავარი წყაროა, მისი თქმით "ვინც დახარბევია, უნდა დაირბეს".( გაზ. "7 დღე" 16-22 აპრილი, 1993წ. №14)

***ელდარ შენგელაია:*** *"თქვენ ახალგაზრდები ხართ და თქვენ ვიღაც ძალიან ცუდ გზაზე გკრავთ და გამოდით რომ.. სადაც ზვიადი გავუშვით, იქ გაგიშვებთ თქვენც.. გამოდით ქუჩაში... გამოვალთ ქუჩაში - რომ ყვირიხართ, გამოდით ქუჩაში.. გვაშინებთ?."* (გაზეთი "სტუდენტური პაემანი" №9(14) 05.12.1996).

***ირაკლი წერეთელი:*** *"ზვიად გამსახურდიას განთავისუფლებული საქართველო ჩვენ არ გვინდა."* (გაზ. "თვალთაი", 22-28 ნოემბერი, 1996 წ.)

აი, კიდევ რას აცხადებს **გიორგი ჭანტურია** (გაზ."ქართული ქრონიკა",VIII.90): *"ჩვენ დუმილი არ ძალგვიძს მხოლოდ იმის გამო, რომ ვხედავთ: შევარდნაძე-გამსახურდიას ალიანსმა საქართველო შესაძლოა დაღუპვამდე მიიყვანოს... რაც შემეხება მე, ღმერთია მოწამე და ჩემი მეგობრები, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ საერთოდ ვაპირებ აქტიური პოლიტიკისათვის თავის დანებებას."*

კიდევ არ ეშვება "შევარდნაძე-გამსახურდიას ალიანსს". დღეს ყველამ იცის, ვინც იყო ალიანსში შევარდნაძესთან.

ახლა, რას ბრძანებს **ჯანსუღ ჩარკვიანი:** *"სწორედ აქ მინდა ვთქვა: საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ხაზი ემთხვევა გარდაქმნის დევიზს, ნათქვამია: "მეტი სოციალიზმი, მეტი საჯაროობა, მეტი სინათლე, სწორედ ამ სინათლით ცდილობს რესპუბლიკა თავისი სიტყვის თქმას ერთა დიდ სახლში."* (ჯ. ნარკვიანი,"კომუნისტი",23.188).

რა სიტყვაც თქვეს, ყველას კარგად მოეხსენება.

ისევ ჩარკვიანი: *"მე მაქვს იმის უფლება, რომ არ მომწონდეს ზვიად გამსახურდიას საქართველო."* (ჯ.ჩარკვიანი, "განათლება", 25.IX.91 წ.)

სხვასაც აქვს უფლება, არ მოსწონდეს გაყიდულ-გასხვისებული საქართველო და ის მოღალატეები, რომლებიც ჯიბეს ივსებენ ტერორისტ შევარდნაძის ხელმძღვანელობით. ჩარკვიანი ყოველთვის იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს პოეტი, მას ჰქონდა საპატიო მილიციელის მოწმობა. არც ერთი მილიციელის დღე არა აქვს გაცდენილი და ამ დღეს ყოველთვის უძღვნიდა თავის "შედევრს".

***ვალერიან ადვაძე:*** *"ჩვენ ყველამ უნდა შევუწყოთ ხელი სახალხო ფრონტის ჩამოყალიბებას. საქართველოს კომუნისტური პარტიის ხმა და სახალხო ფრონტის ხმა ერთად იქნება ერის ხმა, მთელი ხალხის ხმა."*(გაზეთი "თბილისი", 27.IV.89).

***რამაზ კლიმიაშვილი:*** *"ახლა ყველა განათლებული ადამიანი ხედავს, რომ გუმბარიძის რეჟიმმა ხელისუფლება თეფშზე დადებული მიართვა "მრგვალ მაგიდას", კი მაგრამ, რატომ?"* ("საქართველო" 12.XI.91)

კლიმიაშვილი როგორ სიმართლესაც მაშინ ამბობდა, ისეთივე სიმართლის თქმა განაგრძო შემდეგ პერიოდშიც. ის არის ძალიან ადვილად ამოსაცნობი პიროვნება, დაკვეთას ყოველთვის ამერიკიდან ღებულობდა. აქედან გამომდინარე, ეს კლიმიაშვილის აზრი არ გახლავთ. არამედ მოსაზრებაა იმ სახელმწიფოსი და იმ სამსახურისა, რომლის დაკვეთასაც ასრულებს კლიმიაშვილი.

***რევაზ მიშველაძე:*** *მე არც ერთი პარტიის წევრი არ გახლავართ და არც არასდროს ვიქნები. სად შეიძლება ვიყო მე, მწერალი რევაზ მიშველაძე, რომლის მთელი შემოქმედება კომუნისტური რეჟიმის მხილებისაკენ იყო მიმართული, თუ არა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ხელისუფლების გვერდით?"* ("ცხოვრება", VI.91 წ.).

მე ძალიან მაინტერესებს, მიშველაძე ასე ხშირად რატომ ეწინააღმდეგება საკუთარ თავს. ხან ემხრობა და ხან ებრძვის ზვიად გამსახურდიასა და კანონიერი ხელისუფლებას. სამაგიეროდ, ყოველთვის მხარს უჭერს "მხედრიონს" და სხვა ტერორისტულ ბანდებს.

კვლავ რ. მიშველაძე: *"რესპუბლიკის მოედანზე ორმოცი ათასი კაცი ერთხმად რომ ღაღადებდა: "ძირს დიქტატურა, ძირს პრეზიდენტი", საბოლოოდ ვირწმუნე მრგვალი მაგიდის ეიფორიული მმართველობის სავალალო დასასრული"* ("დრონი",,20.IX.91).

მისი ფრაზებიდან თუნდაც ეს რად ღირს!

და კვლავ რ. მიშველაძე: *"ბ-ნი ედუარდი მართალი იყო იმაში, რომ რამდენიმე ინტელიგენტმა მართლაც აიღო ხელში იარაღი."* (გაზ.,"დრო",№40,1997).

***თამაზ კვაჭანტირაძე:*** *"საარჩევნო კომპანიის დროს განვაცხადე: მე არ ვიბრძვი პრეზიდენტობისათვის, მე ვებრძვი პრეზიდენტობას."* ("ახალგაზრდა ივერიელი", 28.IX.91).

საინტერესოა, მას შემდეგ რაც ხუნტამ თანამდებობა უბოძა, დაავიწყდა ეს დევიზი?!

***ვალერიან ადვაძე:*** *"მე და ჩემმა კოლეგებმა საპრეზიდენტო არჩევნების წინ დიდხანს ვიმსჯელეთ და გადავწყვიტეთ, რომ საჭირო იყო სხვა კანდიდატი და მიუხედავად იმისა, რომ ვიცოდით, ვერ გავიდოდით... მაინც უნდა დაგვეპირისპირებოდით, არა მარტო მე, არამედ რაც შეიძლება მეტი კანდიდატი მაინც, რათა რაც შეიძლება მეტი პროცენტი წაგვერთმია მისთვის..."* ("ახალგაზრდა ივერიელი", 28.IX.91).

***თენგიზ სიგუა:*** *"თქვენ ეჭვი გამოთქვით, რომ გამსახურდია ალიანსში იყო პუტჩისტებთან – მე ამას არ ვამტკიცებ, მტკიცებას საბუთი უნდა. ამიტომაცაა, რომ ჩვენ დღემდე ოფიციალურად არ დაგვიწერია ეს ვერსია. ველოდებით იანაევის ოქმის გამოქვეყნებას."* ("დედამიწა", 26.IX.91)

დღესაც ველოდებით თენგიზ სიგუას! წარმოადგინეთ იანაევის ოქმი და დაგიბეჭდავთ გაზეთში.

***ირაკლი შენგელაია:*** *"ამ ეტაპზე, მიუხედავად პროგრამული განსხვავებისა, აზრთა პლურალიზმისა და პოზიციის, მოხდა გარკვეული შეთანხმება ოპოზიციურ პარტიებს შორის. ჩვენი მთავარი მიზანია პრეზიდენტის გადაგდება."* ("განათლება", 18.IX/90).

კარგი. თუ მათ არ მოსწონდათ პრეზიდენტი, დაეტოვებინათ კანონიერი მთავრობა, კანონიერი უზენაესი საბჭო, მაგრამ საქმეც ესაა,. მათ უნდა მოესპოთ საქართველოს 1991 წლის 9 აპრილს გამოცხადებული დამოუკიდებლობის აღდგენა.

***ელდარ შენგელაია:*** *"ჩემი აზრით, ოპოზიციას უნდა ეყოს გონიერება, რომ დღევანდელი მდგომარეობა შევინარჩუნოთ. გარკვეული დაპირისპირების არსებობა აუცილებელია..."* ("დრონი", 4.X.91).

მას დაპირისპირება წარმოუდგენია არა პოლიტიკურად, არამედ იარაღის ძალით, რისი მოწმეც თავად გახლდით თბილისში, ყაზბეგის ქუჩაზე №17,. 24 დეკემბერს, ავთანდილ იმნაძე როგორ ეზიდებოდა იარაღს სხვა პიროვნებებთან ერთად. ამას ხელმძღვანელობდა ელდარ შენგელაია, ავტომანქანაში მჯდომი. იქაური მცხოვრებლები ჩამოვიყვანეთ, მაგრამ მიზანს ვერ მივაღწიეთ, რადგან ისინი იარაღით იყვნენ, ჩვენ კი შეუიარაღებელნი. ყვირილმა და ხმაურმა შედეგი ვერ გამოიღო.

***ირაკლი წერეთელი:*** *"პოლიტიკურმა პარტიებმა და ორგანიზაციებმა უნდა მიიღონ მტკიცე გადაწყვეტილება, გვარდიელებსა და ნებისმიერ შეიარაღებულ ძალას უნდა მოუწოდონ, რომ გამსახურდია იარაღის ძალით იქნეს გადაყენებული...მე და ჩემს პარტიას მიღებული გვაქვს ასეთი გადაწყვეტილება – ან ჩვენ ვიქნებით საქართველოში ან გამსახურდია იქნება, ან ჩვენ დავიხოცებით, ან ის, რადაც უნდა დაჯდეს ეს... ჩემი აზრით, ეს არის აუცილებელი, რომ გამსახურდია იქნეს ჩამოგდებული. ამაზე ორი აზრი არ არსებობს.* ("სოფლის ცხოვრება", 25.IX.91).

*"პრეზიდენტის მმართველობის დღეები დათვლილია."* (ირ.სარიშვილი, დრონი,27.X.91).

***მამუკა გიორგაძე:*** *ვინ თქვა, რომ "ედპ"-ს წევრები დეკემბერ-იანვარში არ ომობდნენ?" –კითხულობს გიორგაძე.* (გაზ. "დრო", №45, 1997წ.).

### მეტი რაღა გინდათ. კიდევ არ არის ნათელი. თუ ვინ ისროლა პირველმა?

შეიძლება ამ პიროვნებასთან ლაპარაკი? მე გული მწყდება იმის გამო, რომ დღესაც კი ზოგიერთები, ვინც იცის წერეთლის პოზიცია კანონიერი ხელისუფლების მიმართ, მასთან მოლაპარაკებას ითხოვენ. ხომ ხედავთ, წლებს სპეციალურად ვაფიქსირებ, რათა ცხადი გახდეს, ჯერ კიდევ როდის იბეჭდებოდა ეს ყველაფერი. ზვიად გამსახურდია არ კრძალავდა პრესის თავისუფლებას. კანონი პრესის თავისუფლების შესახებ მიიღო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ. და დღესაც ამ კანონს იყენებს ე.წ. ხელისუფლება. მაგრამ,სამწუხაროდ, საქართველოს თავისუფალი ჟურნალისტები ჯერჯერობით არ ჰყავს. საქართველოს ჰყავს რამდენიმე ჟურნალისტი და მადლობა უნდა გადავუხადოთ ასეთ ჟურნალისტებს, რომლებმაც შეინარჩუნეს ძველი პოზიცია და არ უღალატეს თავის პროფესიას. რაც მთავარია, არ უღალატეს საქართველოს. ჩემდამი დამოკიდებულება არ განსაზღვრავს მათ პოზიციებს. შეიძლება გამაკრიტიკონ, მაგრამ ცილისწამებისა ნამდვილად წინააღმდეგი ვარ.

***რომან გოცირიძე:*** *"დღეს საქართველოში არის, როგორც ამბობენ, არა "პუტჩი" (ღიმილს იწვევს უზენაესი საბჭოს მიერ მიმდინარე პროცესების ამგვარი კვალიფიცირება). არამედ ცალსახად ნათელია, რომ საქართველოში დაიწყო დემოკრატიული პროცესები"* ("ახალგაზრდა ივერიელი", 12.X.91).

მართლაც ღიმილს იწვევს, რომან გოცირიძისნაირები რომ საქართველოს ეკონომიკას მართავენ. ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე, რაც კი კარგი შენობა იყო, მან ჩაიგდო ხელში. ამის შემდეგ, რასაკვირველია, ღიმილის მომგვრელი იქნება მისთვის ყოველივე; მან ხომ ხელთ იგდო ის "მწვანე ქაღალდები", რომლისთვისაც იბრძოდა. რომან გოცირიძის მსგავსი ეკონომისტების დამსახურებით მიიღო საქართველომ ღატაკი ქვეყნის სტატუსი. ბალცეროვიჩის მოწვევა გაძარცვულ სახელმწიფოში მწარე ირონიაა და გოცირიძისნაირი "დიდი ეკონომისტების" დამსახურება.

მე ხელთა მაქვს პუტჩისტის აპოლონ სილაგაძის მიერ დაწერილი წიგნი, აგებული ცილისწამებებზე, საერთოდ მიუღებელი სამართლებრივი კუთხით, რადგან სიყალბეზეა აგებული. მაგრამ ამ წიგნში არის საყურადღებო რამდენიმე გვერდიც, სადაც დაფიქსირებულია 22 დეკემბრიდან – 9 იანვრამდე დაღუპულთა სიები, მათი რაოდენობა შეადგენს 107 კაცს, ეს არ არის სრული სია, ჯანმრთელობის სამინისტრო ყოველთვის ებრძოდა დაზარალებულთა ფიქსირებას., ჯერ კიდევ 9 აპრილიდან ჯანდაცვის მინისტრის აპრობირებული მეთოდია სრული მონაცემების დაფარვა, მაგრამ თუნდაც მარტო 22 დეკემბრიდან – 9 იანვრამდე პერიოდში დაღუპულთა რაოდენობაც მკითხველს სრულ შთაბეჭდილებას უქმნის მომხდარ ტრაგედიაზე.

*ქალბატონმა მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ სრულად წაიკითხა დაღუპულთა და დაზარალებულთა სიები დასახელებული წიგნიდან და სხვა საარქივო მასალებიდან, მაგრამ გაზეთის რედაქცია იმ იმედით, რომ საზოგადოება უახლოეს ხანებში მიიღებს წიგნს ათწლიანი პუტჩის მსხვერპლთა შესახებ, ამჯერად არ წარმოადგენს ამ უზარმაზარ ჩამონათვალს.*



ქ-ნმა მ. არჩვაძე-გამსახურდიამ შემდეგ აღნიშნა:

**აპოლონ სილაგაძემ** გვერდი ვერ აუარა ამ სიას, მაგრამ წიგნი მიჰყავს ტენდენციურად და ცდილობს შექმნას აზრი, რომ ეს ხალხი გაანადგურა ზვიად გამსახურდიამ და კანონიერმა ხელისუფლებამ. ამ სიაში არ არიან მითითებული ისინი, ვინც 1992 წლის 6 იანვარს, თავისუფლების მოედანზე იქნა დაცხრილული ჩვენს თვალწინ. აგრეთვე, ავტობუსი, სადაც გარდა სამი პიროვნებისა, ყველა დაიღუპა. ამ აქციაში მონაწილეობას იღებდნენ სხვა ჯგუფებთან ერთად ხაინდრავას ბანდები. ასევე, მინდა მოგახსენოთ **ალაიანის ტრაგედია**, როდესაც 1992 წლის 6 იანვარს, დაცხრილეს ავტობუსი, მასში მსხდომნი თან ახლდნენ პრეზიდენტს; ეს ავტობუსი ისე იქნა დაცხრილული, რომ ერთი მოქალაქეც არ გადარჩენილა.

ამჯერად წარმოგიდგენთ გაზეთ "სიმართლეს" (№1 (31) იანვარი, 1992 წ), რომელიც გაყიდვაში არ იყო. ეს გახლავთ შინაგან საქმეთა სამინისტროს პრეს-სამსახურის გამოცემა, ინფორმაცია ნაწილობრივ შეესაბამება სინამდვილეს, აქ არის დაფიქსირებული გარდაცვლილთა სია, რომელიც აღემატება ორას ორმოცდაათ კაცს. აქვეა დაჭრილთა სია. ჟურნალისტებს შეუძლიათ გაეცნონ, ობიექტურობის მიზნით. ჩემთვის ცნობილია, საავადმყოფოებში, ვინ იყო წინააღმდეგი ზვიად გამსახურდიას მომხრეების მიღებისა, ქალაქის პირველ საავადმყოფოში, რესპუბლიკურ საავადმყოფოში, მეცხრეში და ა.შ. მე ვიცი ოჯახები, რომელნიც მალავდნენ ნამდვილი დაზიანების მიზეზს და ცდილობდნენ როგორმე გამოეყვანათ დაშავებულები მდგომარეობიდან, ემკურნალათ სხვა გზებით. მათი რიცხვი აქ შეადგენს 420-ს. თქვენ წარმოიდგინეთ, აქვე ვკითხულობთ, რომ საავადმყოფოს გარეთ

გვ. 4

გვ. 3

# 2 თებერვალი ბრალს სდებს შევარდნაძის, სიგუას, იოსელიანისა და კიტოვანის პუტჩისტურ უკანონო დე ფაქტო ხელისუფლებას

დარჩენილა პიროვნება ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრილი გულის, მუცლისა და ბარძაყის არეში; იგი, რასაკვირველია, ვერ გადარჩებოდა. როდესაც **ყარყარაშვილის ბანდა** დაესხა თავს კოლხურ კოშკს, შვიდი მამაკაცი დაიჭრა, მაგრამ ისინი ვერ გადავიყვანეთ საავადმყოფოში, გავხიზნეთ მეზობლებთან და სხვა საბაბით შევიყვანეთ კლინიკაში. სასწრაფო სამედიცინო სამსახურის უფროსი მაშინ გველესიანი იყო (დღესაც ის არის), იგი გაფრთხილებული ჰყავდათ, რომ კანონიერების მხარდამჭერები არ გადაეყვანათ საავადმყოფოებში, ამას ემატებოდა სასწრაფო სამედიცინო სამსახურის მანქანების მუდმივი კონტროლი შეიარაღებული ბანდების მიერ, რომლებიც არ აძლევდნენ საშუალებას, გადაეყვანათ დაზარალებულები საავადმყოფოებში. სამწუხაროა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს ყველაფერი კეთდებოდა ქართველების ხელით. მათ ამოძრავებდათ არა ქართველი ერის ბედი, არამედ პირადი ინტერესები. ცხადია, ეს ყველაფერი კეთდებოდა კრემლის დავალებით. საინტერესოა მათი აზრი დღეს, როდესაც გაგდებულნი არიან შევარდნაძის მიერ, რომელსაც ადრე სასოებით შეჰღაღადებდნენ. როგორ ხასიათზე ბრძანდებიან? დაფიქრდნენ იმაზე, რომ ისინი საქართველოს მოღალატეებად აქცია ამ კაცმა?

მე ხელთ მაქვს ძალიან მნიშვნელოვანი ქრონიკები გაზეთ "ქართული აზრის" სახით.

თენგიზ-ცრუ ბრძანებს, რომ "ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ იბრძოდა მოსახლეობა".

მაშინ რატომ გააუბედურეს ამდენი ოჯახი და ასეულ-ათასობით ადამიანს რატომ წაართვეს ძმები? რატომ დატოვეს მათი შვილები უდედ-მამოდ? თუ ზვიად გამსახურდიას მოსახლეობა მხარს არ უჭერდა, რატომ იხვრიტებოდა ნახევარმილიონიანი მიტინგები? მოსახლეობა პირიქით, მოითხოვდა კანონიერი ხელისუფლების აღდგენას და პრეზიდენტის დაბრუნებას საქართველოში.

**ვაი, რომ მათი პირველი გასროლა გაგრძელდა ძალიან დიდხანს და დღესაც გრძელდება. გაგრძელდება მანამ, სანამ არ აღდგება კანონიერი ხელისუფლება.**

მე წარმოგიდგენთ, თუ როგორ გამოდიან კანონიერი ხელისუფლების და პრეზიდენტის მხარდასაჭერად სახელმწიფო უნივერსიტეტი, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი, ტექნიკური უნივერსიტეტი, 1992 წ. 15 იანვრიდან დაწყებული როგორ იკრიბებიან ყოველდღიურად საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. გაზეთ "ქართულ აზრში" ყველაფერი აღნუსხულია. თუ რას მოითხოვენ ჩვენი მომიტინგეები ყოველდღიურად, მთელი გვერდებია გაზეთში, რომლებიც ეთმობა დაპატიმრებულთა სიებს. დარბეული მიტინგები, შიმშილობის საპროტესტო აქცია, თუ როგორ იჭერენ ყველა ჩვენს მომხრეს. როგორ იქმნება საგაფიცვო კომიტეტები, როგორ უერთდებიან აქციას სტუდენტები. აქვეა აღნიშნული, ხუნტის ტელევიზიის დიქტორი როგორ კომიკურად აცხადებს მიტინგის დარბევის შესახებ. რა საშინელებაა, როცა ჟურნალისტი ირონიით უყურებს მოშიმშილეთა დახვრეტის ფაქტს! მითითებულია ველა ლაწიავაზე, ლევან ალექსიძეზე, თუ როგორ ებრძვიან ჩვენს მანიფესტანტებს. ასახულია თვითმხილველთა და დაზარალებულთა მონაყოლი. ეს გახლდათ იატაკქვეშა გაზეთი, რომლის დასაბეჭდად უდიდესი შრომა გასწიეს ...ასტიკი დღების პირობებში. მაგრამ მაინც მოახერხეს, ეს ობიექტური მასალები დარჩება საქართველოს უახლეს ისტორიაში. ამ გაზეთში ასახულია, თუ როგორ შეცვივდნენ ავტომატიანები რაზმაძეების ოჯახში, რომელთაც არავითარი შეხება არ ჰქონიათ პოლიტიკასთან, ახლად დაქორწინებულთ წვეულება გაემართათ და რადგან შეკრების ადგილად ჩათვალეს, მექორწინეები დაარბიეს. ასეთი სამარცხვინო ხალხი იყო ლანჩავას ბანდებში... ან როგორ შეცვივდნენ **ლია რაზმაძის** ოჯახში კიევის ქ. №3-ში.

აქვეა მოთხრობილი მათგან დაწესებული კომენდანტის საათის დროს დაპატიმრებულთა შესახებ, როგორ მიჰყავდათ კომენდატურაში, მათ ოჯახებს კი ძარცვავდნენ, ასე ესმოდათ მათ დემოკრატია და თავისუფლება.. "ქართულ აზრში" დიდი ადგილი უკავია 2 თებერვლის მოვლენებს სახელწოდებით "სისხლიანი ზამთარი". აქვეა დაღუპულთა და დაჭრილთა სიაც... ორ თებერვალს დაჭრილთა სია... უმეტესობის ასაკი მერყეობს 25-27 წელს შორის..

აი, როგორი ახალგაზრდები გვყავდა ათი წლის წინ და დღეს კი როგორი ახალგაზრდები გვყავს, როდესაც საკუთარ დედას ისე აგინებენ, თითქოს დედის სადღეგრძელოს სვამენ ...

კვლავ სია...

ქედს ვიხრი მათ წინაშე, დიდი მამულიშვილების წინაშე. თქვენი თავგანწირვა გამარჯვებას მოუტანს საქართველოს.

ისევ მოკლულთა სია....



აქვე მინდა დავძინო, რომ ეს არასრული სიაბია, მინდა ვახსენო ასევე ბატონ ირაკლი გოცირიძის ორი ვაჟი, რომლებიც ხუნტამ იმსხვერპლა. ქალბატონ ია ბაგრატიონ-მუხრანელის ვაჟი.

დიდუბის მეტროსთან დახვრეტილების სია...

**ვახტანგ (ბუბა) კიკაბიძეს ჩამოხსნეს ნიღაბი.** როდესაც მოკლა მშვიდობიანი მომიტინგე, ასე რომ ბუბა კიკაბიძე არავითარი მომღერალი და ხელოვანი არ არის, ის არის მკვლელი, ტერორისტი. ბუბა კიკაბიძემ მოკლა ახალგაზრდა მომიტინგე. მე შეგნებულად არ ვასახელებ თვითმხილველებს, რომელთაც ჩამოხსნეს თავად ნიღაბი ბუბა კიკაბიძესა და **გიორგი ხარაბაძეს**. სხვათა შორის, **იური როსტი**, რომელიც თითქოს თავს დებდა 9 აპრილის ობიექტურად გაშუქებაზე, აგრეთვე თანამონაწილეა მომიტინგეთა დარბევებისა და ტერორისა.

გაზეთებში ზღვა მასალებია. ცალკეა ასახული ქალაქ რუსთავის დაუმორჩილებელთა ქრონიკა.

დღესდღეობით არის საუბარი, რომ პინოჩეტმა ოცდაათი ადამიანი მოკლა. რომელ ოცდაათ ადამიანზეა საუბარი, როდესაც შევარდნაძის რეჟიმმა ასი ათასობით ადამიანი გაანადგურა.

როდესაც აცხადებენ, "ოთხეული" ემართავდით სახელმწიფოსო, სწორედ ისინი გაინაწილებენ პასუხისმგებლობას. სწორედ ის ოთხეული ედგა სათავეში კრიმინალურ ბანდებს, რომელნიც არაადამიანურად ხოცავდნენ საქართველოს მოსახლეობას. აუცილებელია მათ თავად აღიარონ დანაშაული, სხვა საკითხია სასამართლო მათ რა განაჩენს გამოუტანს. მათ იფიქრონ მომავალზე, რადგან მათი ქმედებები არ ჩაივლის უკვალოდ. უფლის რისხვას მაინც ვერ გადაურჩებიან. **ჩვენ თუ დავზოგეთ ისინი, ეს არ ნიშნავს, რომ სუსტები ვიყავით. ჩვენ არ გვიდოდა ქართველთა განადგურება, თუნდაც მტერი ყოფილიყო.** ჩვენ არ ვაპირებთ მათთვის იმ განაჩენის გამოტანას, რომელიც მათ გამოუტანეს საქართველოს მოსახლეობის 87%-ს.

მოინანიონ, სხვა გზა მათ არ დარჩენიათ, არსებობს მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის ამსახველი უამრავი დოკუმენტური მასალა, პრესაში თუ ვიდეო ფირებზე აღბეჭდილი.

ამავე გაზეთშია აღწერილი უნივერსიტეტის რექტორის კაბინეტში სპორტსმენების მიერ სტუდენტების ცემის ამბავი. წარმოიდგინეთ, რა ხდება **როინ მეტრეველთან**, რომელიც დღესაც უნივერსიტეტის რექტორია. ალბათ, ყველამ უყურეთ ტელევიზიით მის ქონებრივ დეკლარაციას, იგი დაჯილდოვდა სწორედ იმის გამო, რომ მის კაბინეტში ასეთი ჯალათური აქციები ტარდებოდა. აქვეა ჩვენი მომხრე, რომელსაც დასაპატიმრებლად ოცმა კაცმა მიაკითხა. ამიხსენით, ერთ კაცს რომ ოცი ჯალათი მიაკითხავს, რა დღეს დაეყრიან?! ნუთუ ამას ორი კაცი ვერ მოახერხებდა? მაგრამ სწორედ ამ გზით მოსახლეობაში ნერგავდნენ ტერორს.

რეპრესირებულთა შესახებ ჩვენი დეპუტაცია კვლავ ისაუბრებს.

ახლა კი უნდა შევეხო ყველასათვის განსაკუთრებულად ტრაგიკულ თემას, რომელიც ასევე ტაბუირებულია დღევანდელ საქართველოში. ჩემთვის უმძიმესი თემაა. რაზეც მიმუშავია მე პირადად, იმას ჯერ არ ვაქვეყნებ. მაგრამ საკმარისია რამდენიმე ამონარიდი მოგაწოდოთ შევარდნაძის "ბრძნული" გამოსვლებიდან, **რომელიც ეხება ზვიად გამსახურდიას მკვლელობას** და შევარდნაძის დამოკიდებულებას ზვიადისადმი; აქედან დასკვნების გამოტანა ადვილია.

გაზეთი "სობესედნიკი"(№9, 1996), ინტერვიუს შევარდნაძესთან იღებს **გიორგი ზოტოვი**:

"შეკითხვა: საიდუმლო გარდაცვალება ექსპრეზიდენტ გამსახურდიასი – ეს იყო ბრწყინვალე ოპერაცია ქართველი სპეცსამსახურებისა თუ თქვენ ჭეშმარიტად აღიარებთ, რომ ზვიად გამსახურდია თავისი სიკვდილით გარდაიცვალა?

**ე. შევარდნაძე:** *ბურუსით მოცულია – მე არ შემიძლია რამის თქმა, რომ გამსახურდია თავისი სიკვდილით გარდაიცვალა – მე მას ცუდად ვიცნობდი, მაგრამ მეუბნებოდნენ, რომ იგი იყო მხდალი, ამიტომ ნაკლებ სავარაუდოდ მიმაჩნია, რომ მას შეეძლო თავის მოკვლა. შესაძლოა, იქ ჩარეული იყო მისი დაცვა, ან რაღაც სპეცსამსახურები, მხოლოდ ჩვენები არა. მათ არ შეეძლოთ ამგვარი ოპერაციის შესრულება."*

თვითონ შევარდნაძე ცდილობს თავი აარიდოს პასუხს საერთოდ ყოველთვის, როცა არ სურს სიმართლის აღიარება, აცხადებს: "მე არ ვიცოდი", "მე ამის შესახებ არ გამაჩნდა ინფორმაცია".

შევარდნაძეს, როცა სჭირდება, ამბობს, თავი მოიკლაო, როცა უნდა, სხვას ამბობს. ცდილობს, პიროვნულად დაამციროს ზვიად გამსახურდია. აკადროს ის, რაც თავად ახასიათებს. წარმოიდგინეთ, სუკის გამობრძმედილი გენერალი ვერ აფიქსირებს "რაღაც სამსახურებს"... როცა უნდა სხვა ეროვნებას აბრალებს დანაშაულს, ალბათ, რუსეთი იგულისხმება. მაგრამ თავად იმავე ძალამ არ ჩამოიყვანა საქართველოში?

"საქართველოს რესპუბლიკა" (№9, 7იანვარი, 1994წ.):

*"რაც უნდა იყოს ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების ჭეშმარიტი მიზეზი, საქართველოს ვითარებისთვის მის სიკვდილს დიდი მნიშვნელობა არა აქვს"* – განუცხადა ედ.შევარდნაძემ 6 იანვარს საკდესის კორესპონდენტს.

"საქართველოს პუტჩს რეპრესია მოჰყვება." ეს გამოქვეყნდა 1992 წლის 2 მაისს, კანონიერი ხელისუფლების დამხობის შემდეგ, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ, რომელიც მაინის ფრანკფურტში მდებარეობს.

ტერორისტი **ალექსანდრე შაშონოვი** ამბობს, რომ განთავისუფლდა შრომა-გასწორების კოლონიიდან. მას და კიდევ ექვს კაცს **თენგიზ კიტოვანმა** სამოცი ათასი მანეთი შესთავაზა ზვიად გამსახურდიას მოკვლის გასამრჯელოდ. "კიტოვანმა მითხრა, რომ პრეზიდენტს არ უნდა საბჭოთა საქართველოს დემოკრატიზაცია და ჩვენს საერთო სახლს, სსრკ-ს, ანგრევსო."

აქვე მინდა დავასახელო **ისპრა მოროხია**, რომელიც იყო შეგზავნილი უზენაესი საბჭოს შენობაში, ისიც ცდილობდა პრეზიდენტის განადგურებას, მის გარდა იყვნენ **გია უჩავა, ზაზა მჭედლიძე**, რომლებიც შემოგზავნილნი იყვნენ სიგუას, კიტოვანისა და იოსელიანის მიერ. ჩემი აზრით, პრეზიდენტის მოკვლა უზენაესი საბჭოს შენობაში გადაიფიქრეს, რამდენადაც ეს იქნებოდა მათთვის საზარელი ფაქტი, მათ რაც ჰქონდათ ჩაფიქრებული, იმას მაინც ასრულებდნენ, მაგრამ უზენაესი საბჭოს შენობაში ამის გაკეთება არ უნდოდათ, რადგან შემდგომ იმ ოთხეულს ხელისუფლებაში მოსვლა გაუჭირდებოდა, აქ უკვე საკითხი დაისმებოდა არა ისე, რომ გამსახურდია იყო დიქტატორი, არამედ პირიქით.

გაზეთი "ახალი თაობა", 2000 წლის ივნისისა, წერს, **გურამ მგელაძემ როგორ დაავალა ჯაბა იოსელიანს ზვიად გამსახურდიას მოკვლა.** ჩვენებას იძლევა ვინმე ალეკო ტბელაშვილი, რომელიც აღწერს ზვიად გამსახურდიას ფიზიკურ განადგურებასთან დაკავშირებულ მოვლენებს...

2001 წ. 9 მარტი "ახალი თაობა", სადაც ნათქვამია, ზვიად გამსახურდია რომელ სახლშიც გაათენებდა ღამეს, აფეთქებდნენო.

წარმოიდგინეთ ახლა, რამდენი სახლი ექნებათ ამათ აფეთქებული. მე აქვე მაქვს ამონარიდები სხვადასხვა გაზეთებიდან, სადაც გარკვეული პიროვნებები ამბობენ, ზვიად გამსახურდია მე უნდა მომეკლაო.

თენგიზ კიტოვანმა შემდეგ უკვე შეიცვალა პოზიცია, "უპირისპირდება" შევარდნაძეს და მიდის მისი მხილება. მათი ერთობა იყო ტერორისტული ძალების დროებითი გაერთიანება. საქართველოს მოსახლეობის გასაძარცვავად და გასანადგურებლად. აი, თენგიზ კიტოვანი რას ამბობს – მე პირადად არ ვიყავი დაინტერესებული ზვიად გამსახურდიას სიკვდილით. გაზ. "ზვიადის გზამ" ეს გადმობეჭდა გაზეთ "საქართველოდან" (1996, №8.):

"– ჩვენ ამას დავარქვით სამხედრო გადატრიალება და ყველა იძახის კრემლის სცენარით მოხდა. მეც ვიძახი ამას, რომ კრემლის სცენარით მოხდა, მაგრამ საიდან მოხდა და ვინ მოახდინა ომის პროვოცირება? მე არ შემეძლო ზვიად გამსახურდიასთვის მოწყობა ტერორის? რა უნდა ზვიადის მოკვლას და თან ამდენ სისხლს ავცდებოდით. მე პირადად არ ვიყავი დაინტერესებული ზვიადის სიკვდილით, პირიქით, ჩემთან და თენგიზთან მოვიდნენ პროფესიონალი მკვლელები რუსეთიდან, შევარდნაძის გამოგზავნილი ხალხი, ჩვენ ცივი უარით გავისტუმრეთ ისინი – როცა დაგვჭირდება იმათ გვარებსაც ვიტყვით; ვინ გამოგზავნა? – ედუარდმა. პირიქით, ზვიადის სიცოცხლე გვჭირდებოდა. საქართველოს სჭირდებოდა."

– რასაკვირველია, კიტოვანს ნამდვილად არ სჭირდებოდა ზვიად გამსახურდიას სიცოცხლე ისევე, როგორც არ სჭირდება მას საქართველო, მაგრამ ამ შემთხვევაში, როდესაც მათ გაუჭირდათ, **იძულებული გახდა ემხილებინა ედუარდ შევარდნაძე** ამ საშინელ დანაშაულში. თუმცა კიტოვანი, ოთხეული და იმ ბანდები, რომლებიც მათ დაქვემდებარებაში იყვნენ, ვერ აიცდენენ ამ დანაშაულს..

აქვე მინდა შევეხო ე.წ. თავდაცვის მინისტრის საკითხს. თავად **თამაზ დუმბაძე** ამხელს **დავით თევზაძეს**, მის "გმირობას":

*"დავით თევზაძე მოვიდა ჩვენთან და გვთხოვა, მონაწილეობა მიეღო ეროვნული მოძრაობისა და ქვეყნის დაცვაში. მე და ჯემალ ჭუმბურიძე ერთ პატარა ოთახში ვიყავით. შევიტყვეთ, მეცნიერ-ფილოსოფოსია, შევეფიქრიანდით... მან ჩამოაყალიბა შეიარაღებული რაზმი "გორდა", "თითოეულ წევრს მივეცით ავტომატები, მეთაურს კი სატაბელო იარაღი. მას შემდეგ ისინი თოფით ხელში იცავდნენ სამშობლოს თბილისის სისხლიანი მოვლენების დროს, ... მისი თანამებრძოლები, სასტუმრო "ივერიაში" იყვნენ და მათი დასახურებაა ის, რომ კარგად მომზადდა საბოლოო შეტევა მთავრობის სახ-*

გვ. 5

# 2 თებერვალი ბრალს სდებს შევარდნაძის, სიგუას, იოსელიანისა და კიტოვანის პუტჩისტურ უკანონო დე ფაქტო ხელისუფლებას

*ლზე... მათ შესთავაზა თევზაძემ, ერთ დღეში შემიძლია მთავრობის სახლის აღება". -* თ. დუმბაძის წიგნიდან: "თქვენ გასაგონად, ბიჭებო", გვ 195.

ახლა მოგახსენებთ, როგორ ემზადებოდნენ პრეზიდენტის დასამხობად. იმავე წიგნში( გვ. 133) თ. დუმბაძე წერს:

*"ჯაშუშები მუდმივად გვყავდა მთავრობის სახლში."*

იგი აღიარებს:

**"ჯერ კიდევ 6 იანვარს ვაპირებდით ზვიად გამსახურდიას განადგურებას".**

ჯაბა იოსელიანი "სამ განზომილებაში" აღიარებს (გვ.47.):

**დ. ჭანკვეტაძე** და **ბ. დათუაშვილი** ბჭობდნენ, საიდან დაეწყოთ დაბომბვა მთავრობის სახლის. თქვენ იცით, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე, ტყვრელის ეკლესიასთან ასაფეთქებელი ნივთიერებით სავსე ორმოც კილოგრამიანი თუთიის ბალონი დაამონტაჟეს, რადგან ამ ქუჩაზე ზვიადს უნდა გაევლო, ზვიადმა შეანელა სვლა, შეამჩნია დეტონატორი, ეს ადგილი კომპაქტურად არ არის დასახლებული, მაგრამ ხალხმა მაინც შეამჩნია, თუ როგორ ფაციფუცობდნენ ტერორისტი-დემოკრატები: მოიყვანეს ძველი მანქანა, მასში იყო დამონტაჟებული საათის მექანიზმით ასაფეთქებელი და ასე ცდილობდნენ ზვიად გამსახურდიას ლიკვიდაციას. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით ჩაერია პოლიცია, მაგრამ უშედეგოდ, მოწმეთა ჩვენებები, ფოტომასალები, ასაფეთქებელი ნივთიერება, ყოველი ნივთმტკიცება საიდუმლოდ დალუქეს და საქმე დაასრულეს.

თ. დუმბაძე იმავე წიგნში (გვ.125) ასევე ამაყობს საგმირო საქმით:

*"ერთ დღეს ზურაბ ნაირაშვილმა გარეთ გამიხმო: საინტერესო ნანაფიქრი და გეგმა მაქვს, მინდა წამომყვე, რომ ყველაფერი თვალნათლივ გინვენოო... ნაირაშვილს ზედმიწევნით ჰქონდა შესწავლილი ზვიად გამსახურდიას ყოველდღიური მარშრუტი. ზუსტად, თითქმის წამების გათვლით ჰქონდა დადგენილი დრო. საკმაოდ დაწვრილებით ჰქონდა შედგენილი სქემაც. იგი ქუჩის განაპირას, მიწისქვეშა კომუნიკაციების ჭასთან მივიდა, სარქველი ახადა და მანიშნა, მომყევიო. ჩავედით ზვიადის სახლთან მდებარე პატარა ჭაში.*

*წარმოიდგინე, თამაზ, აქედან რომ ერთი რიგიანად გავუშვა, როგორ ავაფრენ იმ შენს პრეზიდენტს".*

**აი, რისთვის დააჯილდოვა საფეიქრო ფაბრიკის თანამშრომელი გენერლის ჩინითა და ვახტანგ გორგასლის სამივე ხარისხის ორდენით შევარდნაძემ!**

თუ რატომ გადაიფიქრეს მაშინ პრეზიდენტის აფეთქება ისევ მათი სიმხდალით აიხსნება. რუსეთის დახმარებით ზურგგამაგრებულებმა მოაწყვეს პუტჩი. ასე "ვაჟკაცურად" გაუსწორდნენ დამოუკიდებელ საქართველოს, ხოლო პრეზიდენტის ლიკვიდაცია მოახდინეს სამეგრელოს ტერიტორიაზე, რათა სამეგრელოსათვის ჩირქი მოეცხოთ და მოსახლეობა შეერცხვინათ.

იმავე წიგნში (112-ე გვერდზე) ვკითხულობთ:

"–ერთი ხელყუმბარა "ლიმონკა" შევიტანოთ და ნახეთ, იქიდან როგორ გამოვაბრძანებ ამ ჩვენს პრეზიდენტს" – ასე მიმართავს **ქახა გველესიანი რომან გვენცაძეს.**

გაზეთ "სობესედნიკიდან" არის გადმობეჭდილი სტატია გაზეთში – "მარჯი", მასში აღწერილია, თუ როგორ დაამხეს კანონიერი ხელისუფლება საქართველოში. სტატიის სათაურია – **რუსეთის სპეცნაზი დაეხმარა სადამ ჰუსეინს, ნაჯიბულას, შევარდნაძეს.**

გაზეთ "სობესედნიკში" (1994 წ. №5) "აკვარიუმის ბრაზიანი შვილები". გაგაცნობთ სტატიის იმ ნაწილს, რომელიც ეხება საქართველოს, აქ მოცემულია სპეცსამსახურის ქრონიკები, "ალფას" ქრონიკები და სხვ. – 1991წ. დეკემბერი – 1992 წლის იანვარი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სპეცსამსახურის მონაწილეობა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დამხობაში. 1993 წ. ნოემბერი. რუსეთის არმიის სპეცგანყოფილების მონაწილეობა საბრძოლო ოპერაციებში ზვიადისტების წინააღმდეგ, შევარდნაძის ჯარების მხარეს." დამეთანხმენით, ამაზე დიდი დოკუმენტური მასალა იშვიათია.

მსურს დააფიქსიროთ წარმოდგენილი მასალა, რომელიც ამხელს საქართველოს მტრებს.

წარმოგიდგენთ მნიშვნელოვან დოკუმენტს, თუ რუსეთის მხრიდან რა ძალები იქნა შემოყვანილი საქართველოში:

## დასავლეთ საქართველოს ოკუპაციის ქრონიკა

დასავლეთ საქართველოს ოკუპაციისათვის რუსეთის ჯარმა ოპერაციული მზადება დაიწყო მას შემდეგ, რაც ამიერკავკასიაში მყოფი რუსეთის ჯარების სატანკო პოლკის ერთი ნაწილი (თ-72 ტიპის 15 ტანკი, ბრონეტექნიკის 30 ერთეული - БМП-1, БМП-2, БМП-3 და 30 ცარიელი სატვირთო მანქანა), დისლოცირებული ქუთაისში, მიუახლოვდა სოფელ დაფნარს ‹ მოითხოვა ეროვნული გვარდიის წარმომადგენლებისაგან გაეტარებინათ ქ.ვანის მიმართულებით, ვითომდა ქუთაისიდან ბათუმში სამხედრო მოსამსახურეების ოჯახის წევრების გადასაყვანად. ნებართვა ამ გადაადგილებაზე მიღებულ იქნა.

22 ოქტომბერს იგივე შეიარაღებული ჯგუფი (ოჯახის წევრების გარეშე) დაბრუნდა ქ. ვანიდან და, გაარღვია რა საფარი დაფნარში, გაეშურა ქ სამტრედიის მიმართულებით. ამავე დროს სატანკო პოლკის მეორე ნაწილმა ქუთაისის მხრიდან რუსეთის ავიაციისა და არტილერიის დახმარებით იერიში მიიტანა ქ. ხობსა და ქ. სამტრედიაზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ოკუპანტები სამხედრო კომპანიის მსვლელობის დროს ბომბავდნენ არა მხოლოდ ქართული ჯარის საბრძოლო პოზიციებს, არამედ მჭიდროდ დასახლებული ქალაქებისა და სოფლების კვარტლებს, რომლებიც საბრძოლო ქმედებების ზონიდან მოშორებით მდებარეობდნენ, რითაც აიძულებდნენ ეროვნული გვარდიის მებრძოლებს დაეტოვებინათ მათ მიერ კონტროლირებადი ტერიტორიები. ამ ეტაპზე საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ ამოქმედებული იქნა რუსეთის სამხედრო საჰაერო ძალების კიდევ ორი პოლკი.

23 ოქტომბერს რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა, სამტრედიის და ხონის დაკავების შემდეგ, დაიწყეს მარტვილისა და აბაშის საარტილერიო და საჰაერო დაბომბვა. 24 ოქტომბერს გარღვეული იქნა ქ. აბაშისა და მარტვილის დაცვა.

მავე ბარბაროსული ტაქტიკის გამოყენებით 25 ოქტომბერს რუსეთის ჯარმა დაიკავა ქ. სენაკი, 26 ოქტომბერს – ქ. ხობი და 28 ოქტომბერს-ქ. ფოთი.

26 ოქტომბერს რუსეთიდან იქნა გამოგზავნილი ძერჟინსკის სახელობის დივიზიის დამატებითი ძალები.

27 ოქტომბერს საღამოს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდია გადავიდა კონტრიერიშზე.

28 ოქტომბერს გათავისუფლებული იქნა ქ. ხობი და გრძელდებოდა ბრძოლა ქ. სენაკის გასათავისუფლებლად.

30 ოქტომბერს გათავისუფლებული იქნა ქ. სენაკი.

ნათელი გახდა, რომ ამოქმედებული ძალებით შეუძლებელი იყო ეროვნული გვარდიის შეტევის შეჩერება. ამიტომ, მსხვილი სადესანტო ძალების ჩამოსვლამდე. 31 ოქტომბრიდან ოკუპანტებმა დაიწყეს სენაკის რაიონის მასიური დაბომბვა (ეროვნული გვარდიის მიერ განადგურებულ იქნა 3 რუსეთის თვითმფრინავი СУ-27).

2 ნოემბერს ქ. ფოთში გადმოისხა რუსეთის შავი ზღვის ფლოტის ოპერატიული დაჯგუფების დესანტი, დისლოცირებული ქ. სევასტოპოლში (უკრაინა). უკრაინის პრეზიდენტის, ბ-ნ **კრავჩუკის** ოფიციალური თანხმობით, საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ აგრესიაში მონაწილეობა მიიღეს რუსეთის შავი ზღვის ფლოტის შემდეგმა საბრძოლო გემებმა: БДК Н. Ольшанскийт შავი ზღვის ფლოტის სარდლით, ადმირალ **ბალტინით**, გემზე СКР Пышливый, СКР Сдержанный, БДК Ц.Куников, БДК-69, СДК-02, МТЩ Зенишмк,МПК 127, ТМ Свеиша, СБ 524щуь გემების ოპერატიული დაჯგუფებები გაძლიერებული იქნა შავი ზღვის ფლოტის საზღვაო ფეხოსანთა ბატალიონებით иу1910 ОБРМП და 126 ДБО Ф. საზღვაო ფეხოსანთა რაზმი აღჭურვილი იყო საბრძოლო ტექნიკის 36 ერთეულით :7 ტანკით "ПТ 76", 10 БТР-ით, 3 БРДМ–ით, 3 САУ "Нона"–თი, 4 САУ "2с-1", 3 ЭСУ "ШИЛКА"-თი, 6 მანქანით ПТУР БРДМ-ის ბაზაზე და უზრუნველყოფის მანქანებით. ამ ძალების პირადი შემადგენლობის 70%-ს შეადგენდნენ უკრაინის მოქალაქეები, რომლებმაც ფიცი დადეს უკრაინის ერთგულებაზე, მაგრამ მეთაურებად იყვნენ რუსეთის მოქალაქეები, რომლებმაც ფიცი დადეს რუსეთის ერთგულებაზე.

იმავე დღეს (2 ნოემბერს) ძერჟინსკის სახელობის დივიზიის ორმა ბატალიონმა (700 სამხედრო მოსამსახურე) დაიკავა ქალაქები ჩხოროწყუ და წალენჯიხა.

3 ნოემბერს ანაკლიაში ზღვიდან გადმოისხა რუსეთის შავი ზღვის ფლოტის დესანტი, რის შედეგადაც დასრულდა საქართველოს კანონიერი შეიარაღებული ძალების ალყაში სრული მოქცევა 2 ნოემბერს ეროვნული გვარდიის ნაწილებმა დატოვეს ქალაქი სენაკი.

4 ნოემბერს რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა გაარღვიეს ხობის დაცვა. 6 ნოემბერს ისინი დაბრკოლებების გარეშე შევიდნენ ზუგდიდში. ამ დროისათვის კანონიერი ეროვნული გვარდიის ნაწილებმა დაამთავრეს გადაადგილება მცირედ დასახლებულ მთიან რაიონებში.

## თენგიზ ბულიას მოკვეთეს თითები, შემდეგ ამოჭრეს გული...

**ასე დასრულდა საქართველოს სრული ოკუპაცია.**

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ ანაკლია, ჩხოროწყუ, წალენჯიხა, ხობი, მარტვილი და ზუგდიდი ფოთი-თბილისის მაგისტრალიდან სხვა მხარეს მდებარეობენ.

მიუხედავად შავი ზღვის ფლოტის მეთაურების განცხადებისა "სამხედრო მისიის დასრულებასა და გემების გამოსვლაზე, საბრძოლო მოქმედებების რეგიონში დატოვეს შავი ზღვის ფლოტის კომენდატურა, სადესანტო ჯგუფი და МПК"127" სამეთვალყურო სამსახურის რეჟიმში პორტის მისადგომებთან. 15 ნოემბერს ფოთის პორტში დამატებით შემოვიდა БДК"54" დონუზლოვოდან. СКР "СДЕРЖАННЫЙ"–მ 17 ნოემბერს ჩაიყვანა ადმირალი ბალტინი სევასტოპოლში, მაგრამ გემების დამრტყმელი ჯგუფი ( СДК "82", МТЩ "Зенитчик", БДК "Ц.КУНЦОВ", БДК "Н. ОЛЬШАНСКИЙ", БДК "67") იმყოფებიან სევასტოპოლის გარე რეიდზე, ხოლო ТМ "სვენტა" ფეოდოსიაშია და მზად არის ოპერატიულად დაბრუნდეს სამხედრო მოქმედებების განსახორციელებლად საქართველოში.

დასავლეთ საქართველოს ოკუპაციის შედეგად რუსეთისა და უკრაინის შეიარაღებული ძალების მიერ შევარდნაძის ხუნტის ბანდიტურ ფორმირებებს, რომლებიც ოკუპანტების კვალს მიჰყვებოდნენ, შესაძლებლობა მიეცათ იმ ქალაქებში და სოფლებში, სადაც მოქმედებდა კანონიერი ხელისუფლება, მოსახლეობის დაყაჩაღების, შევიწროების, ტერორისა და წამების.

**არის ადამიანთა მხეცური მკვლელობის, წამებისა და დახვრეტის ფაქტები.დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს:**

ქალაქ ხობში მხეცურად გაუსწორდნენ ეროვნული გვარდიის ტყვედ ჩავარდნილ მეომრებს. აქედან სამი ცოცხლად იქნა დამარხული, დაჭრილი **ბესიკ იორამაშვილი** დახვრიტეს საავადმყოფოში ექიმების თვალწინ. დაჭრილი **ხვთისო მათურელი** მოათავსეს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, შემდეგ მხედრიონის და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებმა გამოიყვანეს იქიდან, რის შემდეგაც მასზე არავითარი ცნობები აღარ არის.

24 ოქტომბერს ქალაქ ხობის დაცვის დროს ტყვედ ჩავარდა მებრძოლი (ჩხოროწყუს რ-ის, სოფელ სარაკონის მცხოვრები), რომელსაც შევარდნაძის ბანდიტებმა **ცულით მოჰკვეთეს კიდურები და თავი.**

27 ოქტომბერს ქალაქ ხობში საკუთარ სახლში დახვრიტეს ექიმი **ეზოპე სიჭინავა**. იმავე დღეს მხატვარ **ვახტანგ ნადარაიას** მოკვეთეს მარჯვენა ხელი, შემდეგ კი თავი.

7 ნოემბერს ქალაქ ზუგდიდში ტყვედ ჩავარდა ეროვნული გვარდიის ერთ-ერთი რაზმის მეთაური **თენგიზ ბულია** (თბილისის ტელევიზიით გამოაცხადეს რომ იგი თავად ჩაბარდა ტყვედ), რომელიც მოკლეს შემზარავი წამებით: მოკვეთეს თითები, შემდეგ ამოჭრეს გული.

ინგურის ქაღალდდამამზადებელი კომბინატის ეზოში დახვრიტეს მებრძოლი **ზვიად ლელაძე** და 3 დღის განმავლობაში მშობლებს არ აძლევდნენ მიცვალებულს.

ავიადაბომბვებისა და სარაკეტო სროლების შედეგად ქალაქებში სამტრედიაში, აბაშაში, სენაკში, ხობში, მარტვილში, ხონში, ჩხოროწყუში, წალენჯიხაში, ფოთში და ზუგდიდში გაძარცვულია თითქმის ყველა ოჯახი.

ქალაქ ზუგდიდში დანგრეულია და გადამწვარია 20-მდე სახლი, სოფელ დარჩელში გადამწვარია 15 სახლი.

აუტანელი პირობების გამო და სიცოცხლის შენარჩუნების გულისათვის სამეგრელოს ბევრი მცხოვრები იძულებული შეიქნა მიეტოვებინა გაძარცვული სახლ-კარი...

***

*ქ-ნი მ. არჩვაძე-გამსახურდიას გამოსვლაში კიდევ ბევრი ფაქტი დასახელდა... ჟურნალისტებს ის დაჰპირდა, რომ მომავალ პრესკონფერენციაზე არანაკლებ საინტერესო სხვა დოკუმენტები იქნება წარმოდგენილი... მან ასევე ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ამ ფაქტების დასახელება ვინმეზე შურისძიებას არ ისახავს, უბრალოდ, ხალხმა თავისი უახლესი წარსული უნდა იცოდეს, ხოლო დამნაშავეებს პრეტენზია აღარ უნდა ჰქონდეთ, რომ ქვეყანა „მართონ"... „ჩვენ შურისძიება არ გვინდა, მათ კი უფალმა შეუნდოს, თუკი მოინანიებენ"...*

***

*საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ქალბატონი მანანა არჩვაძე-გამსახურდიას შემდგომ სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები და დეპუტატები: ბიმურზა აფრასიძე, თეიმურაზ გვანცელაძე, ტარიელ ფუტკარაძე, ვიქტორ ფხალაძე (საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე), თამაზ ყურაშვილი, აკაკი მათიაშვილი, ჯემალ იონთამიშვილი, ალექსანდრე ვარძელაშვილი, ალექსანდრე ჟღენტი, დავით ტაბიძე, ჯემალ შონია, გურამ ისაკაძე, მიხეილ მაყაშვილი, გურამ მაქაცარია, შუქრი აბზიანიძე. მოწვეული სტუმრებიდან სიტყვით გამოვიდნენ: ირაკლი გოცირიძე, ია ბაგრატიონ-მუხრანელი, ლეილა დოკვაძე, გურამ შარაძე, კახაბერ ლორია, იაკობ ახუაშვილი, თამაზ ბიბილური, ზურაბ ბერიშვილი, იგორ ჩხეიძე...*

*პრესკონფერენციის დასასრულს კვლავ სიტყვით გამოვიდა გიორგი კერვალიშვილი. მან აღნიშნა, რომ ამა წლის 2 თებერვალს ჩატარებული კონფერენცია, რომლის მიზეზი 10 წლის წინ მომხდარი ტრაგედიაა, აერთიანებდა საქართველოში განხორციელებული და მიმდინარე ტერორის ყველა მსხვერპლს. პრესკონფერენციაზე მოხსენიებულ იქნა ყველა ის გმირი, ვინაც საქართველოს თავისუფლებას, დამოუკიდებლობას, ტერიტორიულ მთლიანობას, კანონიერ ხელისუფლებასა და პრეზიდენტს შესწირა თავი.*

*პრესკონფერენციაზე ასევე აღინიშნა, რომ პასუხი უნდა მოეთხოვოს ყველა იმ სახელმწიფო დამნაშავეს, ვინაც დაამხო კანონიერი ხელისუფლება და პრეზიდენტი, ვინაც ჩაიდინა უმძიმესი დანაშაული ერის წინაშე. განსაკუთრებით ხაზი გაესვა დამნაშავე ოთხეულს, ედუარდ შევარდნაძეს, თენგიზ სიგუას, თენგიზ კიტოვანს, ჯაბა იოსელიანს და მათ დაქვემდებარებაში მყოფ კრიმინალურ და ტერორისტულ ბანდებს. 2 თებერვლის საშინელი ტრაგედიაც ხომ მათ კისერზეა.*

*მასალა მოამზადა*
***ირაკლი შონია***

ინტერვიუ

# ლეილა დოკვაძე: ჩემს რძალთან ყოველდღე ორი კაცი მიდიოდა. ისინი ემუქრებოდნენ დაპატიმრებით, ბავშვებს კი უპატრონო ბავშვთა სახლში ჩავაბარებთო - ამბობდნენ

*ამა წლის 2 თებერვალს ჟურნალისტთა სახლში გამართულ პრესკონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა ქალბატონი ლეილა დოკვაძე - პოლიტპატიმარ ირაკლი დოკვაძის დედა. გამოსვლის საინტერესო ტექსტმა ჩვენში ბევრი კითხვა აღძრა; გთავაზობთ გამოსვლის ტექსტსაც და ინტერვიუსაც.*

პრესკონფერენციაზე წარმოთქმული სიტყვა:

დიდ მადლობას მოგახსენებთ მოწვევისათვის. 10 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც 2 თებერვალს მოხდა. მას შემდეგ კიდევ ბევრი საშინელება დატრიალდა. 2 თებერვლის ტრაგედია დღემდე გრძელდება. იმ მიტინგზე მეც ვიყავი ჩემს მეუღლესთან ერთად. ცეცხლთან ტყვიებით გაგვიმასპინძლდნენ. მარჯანიშვილთან საშინელ სროლაში მოვხვდით. არ ვიცოდით, სად შევვარდნილიყავით, რომ თავი გადაგვერჩინა. ეს იყო, საშინელი დღე. უდანაშაულოდ მოკლული ჩვენი ხალხი, დახვრეტილი მიტინგები. მერე დაიწყო რეპრესიები, დაპატიმრებები.

რაც ჩემმა ოჯახმა გამოიარა, ის ბევრმა ქართველმაც გადაიტანა. 13 ბანდიტი რომ შემოიჭრა სახლში ღამით, უბრალოდ ელემენტარული ეთიკის ამბავია, კარზე მაინც დაეკაკუნებინათ, პირდაპირ წიხლით შემოამტვრიეს კარი, ავტომატიანებმა ორსაათნახევრის განმავლობაში სახლი გადააბრუნეს და ვერაფერი იპოვეს. აფეთქებული ლიმონკა ბავშვების ტანსაცმელში ჩადეს. მე და ჩემი მეუღლე მოტყუებით წაგვიყვანეს ქალაქის პოლიციის სამმართველოში. იქიდან კი, აღარ გამოგვიშვეს. ჩემს რძალთან, ბავშვებთან ყოველდღე ორი კაცი მიდიოდა. ისინი ემუქრებოდნენ დაპატიმრებით, ბავშვებს კი უპატრონო ბავშვთა სახლში ჩავაბარებთო - ამბობდნენ. მე კი, ერთი თვე ვიყავი დაპატიმრებული, მაგრამ თუ მართალია გიყვარს შენი სამშობლო, იცი, რისთვის გდევნიან. ჩემთვის ქურდობის დაბრალებაც კი უნდოდათ, მაგრამ ხელი არ მომიწერია, რომ მერე ყალბი დოკუმენტი არ შეექმნათ. ჩემთან სახლში, ნარკოტიკების შემოგზავნაც უნდოდათ. დააკავეს ერთი ქალბატონი, გვარად - პლოშკინი. ჰკითხეს დოკვაძეებს თუ იცნობთ, შეიტანეთ მათთან „ჩეკები" და თქვენ გაგიშვებთო, მან არ გააკეთა ეს საშინელება. სიკვდილის პირას მიიყვანეს, მაგრამ განაცხადა - მე ამას ვერ გავაკეთებ, დოკვაძეების ოჯახს დიდ პატივს ვცემ და ვერ ვუკადრებო. ეს სასამართლოზეც ვთქვი, მაგრამ ყურად არავინ იღო. ირაკლის განაჩენის გამოტანის დღე საშინელება იყო. დილის 10 საათზე რომ დაიწყეს „პროცესი", საღამოს 8 საათამდე გააგრძელეს, ცდილობდნენ ჩქარა გამოეტანათ განაჩენი. როგორია ჩემთვის, მშობლისთვის, როდესაც საკუთარ შვილს გამოუტანეს სიკვდილის განაჩენი, მაგრამ ყურებში სულ ჩემი შვილის სიტყვები მესმოდა:

- დედა ყველაფერის ელოდე, რაც გინდა იყოს, შენ ამათ ცრემლი არ დაანახო.



როგორი იყო ჩემთვის ეს, როდესაც ერთადერთ შვილს სიკვდილი ემუქრებოდა. პროცესზე კლდესავით ვიჯექი, ამის მოწმეებს დღეს ამ დარბაზშიც ვხედავ, მათ მე ცრემლი არ დავანახე, მაგრამ სახლში რომ მივედი... ამის შემდეგ მოდიან სახლში და მეუბნებიან - მე არც შევარდნაძისტი ვარ და არც ზვიადისტი, ახლა მალე განაჩენის აღსრულება უნდა მოხდეს, უნდა დახვრიტონ თქვენი შვილი და თქვენ ასე ზიხართ, მიდით შევარდნაძესთან და შეწყალება თხოვეთო. ორჯერ მოხდა ეს ამბავი. მე ვუთხარი: ქალავე გაეთრიეთ, დაე მოხდეს მოსახდენი. ჩემს შვილს თვალებში როგორ შევხედავდი, რომ პატიებისთვის ვინმესთან მივსულიყავი, ან ჩემი შვილი მაპატიებდა ამას?!

თქვენის ნებართვით, მინდა, ერთი ამბავი გავიხსენო. პატიმრობიდან გამათავისუფლეს სამარცხვინო ფურცლით: თითქოს იმიტომ ვიყავი დაჭერილი ერთი თვე, რომ კომენდანტის საათი დამირღვევია - ასე განმიცხადეს ამ ბანდიტებმა. ჩავედი ქალაქ გროზნოში, ვიცი, რომ ჩემი შვილიც იქ არის. უფრო სწორედ, გავიპარე აქედან. არ ვიყავი ჯერ შესული სასტუმრო „კავკასში", რომ მითხრეს: ბატონი ზვიადი გიბარებთო. გავგიჟდი, საიდან გაიგო რომ ჩაველი-მეთქი. ბატონ ზვიადთან მარტო შევედი, ჩემზე უბედნიერესი ადამიანი არ არსებობს, შეიძლება თქვენ ყოველდღიური ურთიერთობა გქონდათ, ჩემი შვილიც კარგად იცნობდა, მაგრამ მე ხომ ახლო ურთიერთობა მასთან არ მქონია, გარდა იმისა, რომ არც ერთ მიტინგს არ ვაცდენდი. რა დამავიწყებს იმ დღეს: ბატონმა ზვიადმა გულში ჩამიკრა, ვტიროდი, მერე ქალბატონი მანანა შემოვიდა, ბატონმა ზვიადმა განუცხადა: - მანანა, ეს ჩემი ირაკლის დედაა. ამის დავიწყება შეუძლებელია. ვინ იყო დიქტატორი?! ვინ იყო ჩაუშესკუ?! ის იყო ძალიან უშუალო, საოცრად თბილი. იცით, რაშია საქმე, არც ჩემთვის და არც ჩემი შვილისთვის არ დაუვალებია ვინმეს, ჩვენ პრეზიდენტის გვერდით ჩვენი ნებით დავდექით. არასოდეს არ გვიღალატია მისთვის. გვიყვარდა და გვიყვარება მისი საქმე და საქართველო, მაგრამ ვაი ამათ, ვერასოდეს ელირსებიან იმ დიდ სიყვარულს, რასაც ბატონი ზვიადის მიმართ ავლენდა და ავლენს ქართველი ერი. რა დამავიწყებს მიტინგებს, როდესაც გამოვიდოდა ბატონი ზვიადი, ატყდებოდა ტაშის გრიალი და სკანდირება მისი სახელის. ესენი უბედურები არიან. ბატონი ზვიადი უბედნიერესი ადამიანია. ღმერთო, მოვესწროთ ჩვენ გამარჯვებას, მივაღწიოთ თავისუფლებას, იმას, რასაც ეტრფოდა და ნატრობდა ბატონი ზვიადი და ბატონი მერაბი! ყველას დიდ მადლობას მოგახსენებთ.

ინტერვიუ (ჩაიწერა ირაკლი შონიამ):

***- ქალბატონო ლეილა, თქვენმა ოჯახმა უდიდესი ტრავმა გადაიტანა: დევნა, რბევა, დაპატიმრება. როგორ გაიხსენებდით პუტჩის დღეებს საქართველოში?***

- როგორ გავიხსენებდი, ცხადია ცუდად. რუსთაველის გამზირზე რომ ისროდნენ, ასეთივე ხმა იყო აქ, ჩვენს სახლთან. ჩემი შვილი, ირაკლი, ბოლომდე, 6 იანვრამდე იმყოფებოდა მთავრობის სახლში. წარმოიდგინეთ, ჩვენს ეზოშიც ცვიოდა ტყვიები. ბავშვები გასროლილ გილზებს კრებდნენ.

ირაკლი ხომ ტელევიზიის თანამშრომელი იყო. მთავრობის სახლის მეოთხე სართულზე ტელევიზია იყო მოწყობილი, სანამ ტელეფონებს გათიშავდნენ, ვრეკავდი, რომ გამეგო ცოცხალი თუ იყო. ირაკლიმ რადიოხაზი აღადგინა, მაგრამ მერე მთავრობის სახლის თავზე ასაფეთქებელი ჩამოაგდეს და ყველაფერი შეწყდა. მან რამდენიმე წუთით შემოირბინა სახლში ტანსაცმლის გამოსაცვლელად, ვერც კი შევატყობდით აფეთქების შემდეგ რა ეცვა. ახალი წლის დღეს გათიშული იყო რადიოც და ტელევიზიაც. მაგრამ ირაკლიმ მოახერხა, რომ ეთერში გასულიყო. როცა პრეზიდენტთან შევიდნენ, უთხრეს: ბატონო ზვიად, მოემზადეთ ეთერში გასასვლელად. როგორი, გაუკვირდა. დღეს თქვენ ახალ წელს მიულოცავთ ქართველ ერს. 31 დეკემბერს, საღამოს, თორმეტს რომ თხუთმეტი წუთი აკლდა, მირეკავს ირაკლი და მეუბნება - დედა, ჩართე ტელევიზორი, მალე პრეზიდენტი ახალ წელს მოგილოცავთ. ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო - გამხნევება იყო მოსახლეობისთვის.

როდესაც ახალი წლის ღამეს არჩევნებდნენ ე.წ. „ბუნკერიდან" კადრში დავინახე ჩემი შვილი, დაღლილი სახე ჰქონდა და სიგარეტს ეწეოდა. ამ დროს ერთმა პიროვნებამ ეთერში განაცხადა - დღეს რომ ტელევიზია ჩაირთო, ეს ირაკლი დოკვაძემ გააკეთაო. ეს ხმამაღლა გაცხადდა და რა თქმა უნდა, ამას პუტჩისტები არ აპატიებდნენ.

***- ქ-ნო ლეილა, რას გვეტყოდით 1992 წლის 2 თებერვლის მიტინგის დახვრეტის შესახებ. თქვენ თუ იყავით მაშინ?***

- მე და ჩემი მეუღლე ერთად ვიყავით. საშინელი სროლა ატყდა. ყველა მხრიდან გვესროდნენ. ხალხი გარბოდა მარჯანიშვილის მიმართულებით. შემდეგ „მხედრიონი" წამოვიდნენ. მარჯანიშვილის თეატრიდანაც დაგვიშინეს ტყვიები ე.წ. წითელმა ინტელიგენტებმა. ჩემი მეუღლე დავკარგე დარბევაში და არ ვიცოდი სახლში ცოცხალი მოვიდოდა, თუ არა. ასე გადავრჩით, მაგრამ უამრავი ხალხი დახოცეს.

დიდუბის მეტროსთან, უდანაშაულო, შემთხვევით გამვლელი ბიჭიც მოკლეს, პური მიჰქონდა. გასახსენებლადაც კი საშინელებაა ყველაფერი, რამდენი მშვიდობიანი მიტინგი დახვრიტა ხუნტამ.

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

ჩვენი ისტორია

# საქართველოში რუსეთის საოკუპაციო ჯარების პარპაშის ისტორიიდან

*„რაც კარგი ექნას რუსისა მტიკსა, ღმერთმა იმ რუსსვე ასკეცად მისცეს*

*წმიდა ილია მართალი*

კახეთის მრისხანე აჯანყებით თავზარდაცემული მთავარსარდალი გენერალი პაულუჩი სასწრაფოდ დაბრუნდა თბილისში კასპიის ზღვის სანაპიროებიდან, სადაც ის აჯანყების დაწყების ჟამს იმყოფებოდა და იმის ნაცვლად, რომ უკიდურესად გამწარებული და გაუბედურებული ხალხის წინაშე დათმობაზე წასულიყო და დაეშოშმინებინა იგი, ბრიყვი სალდაფონი მუქარითა და იარაღის ჟღარუნით აშინებდა კახელებს. „კახეთის ხალხო, - მიმართავდა იგი აჯანყებულებს, - ახლა თქვენ წინ ორი გზაა: ერთი გადარჩენისაკენ, მეორე გარდუვალი დაღუპვისაკენ. შევკრიბე რა ძლიერი ჯარი, თვით მოვდივარ კახეთში მშვიდობის დასამყარებლად. ხმალი ჩემი მზადაა, გაანადგუროს ურჩი მეამბოხენი" (კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის საბუთები, ტ.V, გვ. 82).

მარკიზის ამ ბრიყვულმა და მუქარით აღსავსე მიმართვამ კიდევ უფრო აალევა განაწმებული ხალხი და გააძლიერა აჯანყების ტალღა კახეთში. „ჩვენ ვიცით, - უპასუხეს გენ. პაულუჩის აჯანყებულმა კახელებმა, - რომ ჩვენ ცოტანი ვართ რუსებთან შედარებით, არ გვაქვს იმედი მათი დამარცხებისა, მაგრამ გვინდა, მათ გაგვულიტონ. ჩვენ რუსეთის მეფის მფარველობას ვეძიებდით... მაგრამ მის მსახურთა უსამართლობამ და სისასტიკემ სასოწარკვეთილებაში ჩაგვაგდო. ჩვენ დიდხანს ვითმენდით, ხოლო ახლა, როცა ღმერთმა ეს საშინელი შიმშილი დაგვატეხა თავს, როცა თვითონ ბალახ-ბულახს ვჭამთ, ჩვენგან პურსა და საკვებს მოითხოვენ. ჩვენ საკუთარი სახლებიდან გამოგვრეკეს, ხელებს აფათურებდნენ და ჩხრეკდნენ ჩვენს ზანდუკებს, ორმოებს, მარნებს გვიტეხდნენ, ქვევრებში სიბინძურეს გვიყრიდნენ; ბოლოს ჩვენ თვალწინ ჩვენს ცოლებსა და ქალებს შეურაცხყოფდნენ.

განა ოჯახის ასეთი შერცხვენის შემდეგ სიცოცხლეს ჩვენთვის ფასი-ღა ექნება? (ალ. ჭავჭავაძე, თხ. კრებული, თბ., 1940, გვ. 250-251).

რუსეთის საოკუპაციო ჯარების სასტიკმა და ულმობელმა მოქმედებამ აჯანყებულთა წინააღმდეგ კიდევ უფრო გააძლიერა აჯანყება, რომელსაც ახალი გაქანება მიეცა კახეთში ქედმოუხრელი ბატონიშვილის ჩამოსვლისთანავე. „თიანეთში მყოფ ალექსანდრეს მონოდებებს ფიცხლად გამოეხმაურა მთელი ქვეყანა. აჯანყდა კახეთი, ქიზიყი, ფშავ-ხევსურეთი. მღელვარება ქართლსაც დაეტყო. ქართლიდან მას (ალექსანდრე ბატონიშვილს - ამ უტეხ სულს საქართველოსას!!! - ა.მ.) მრავალი თავადაზნაური და გლეხი მიუვიდა" (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 925).



უთანასწორო ბრძოლა წელიწადზე მეტხანს გაგრძელდა. მის სხვადასხვა საფეხურზე აჯანყებულთა ხელში იყო თელავი, სიღნაღი, ბოდბისხევი, ანაგა, გრემი, ენისელი, შილდა, საგარეჯო, ხაშმი, მარტყოფი, მთელი ფშავ-ხევსურეთი, თიანეთი; ქართლიდან - მცხეთა, დუშეთი, ფასანაური, სტეფანწმინდა და ა.შ. „აჯანყებულებმა ერთდროული თავდასხმებით ალყა შემოარტყეს განცალკევებულ საოკუპაციო რაზმებს, გაერთიანების საშუალება მოუსპეს მათ და სასტიკად დაამარცხეს" (იქვე, გვ. 522).

აჯანყებულთა ბრძოლები საოკუპაციო ჯარებთან თბილისიდან სულ რაღაც 25-35 კმ სიახლოვეს მიმდინარეობდა, რის გამოც „თვით თბილისის სამხედრო ოლქს დიდი გაჭირვება ადგა თავს ამ დროს" (ა. კიკვიძე) და ციებ-ცხელება შეჰყარა თბილისში მყოფ რუსეთის კოლონიურ ხელისუფლებას. გააფთრებული, სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ რუსმა ოკუპანტებმა შეძლეს აჯანყებულთა ხელიდან გამოეგლიჯათ საქართველოს სამხედრო გზა რუსეთიდან მაშველი ძალების მისაღებად. აჯანყებულთა წინააღმდეგ საბრძოლველად შეიარაღებული ძალები გადმოისროლეს აგრეთვე დასავლეთ საქართველოდან, აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან.

წელებზე ფეხის დადგმით რუსეთის სისხლში ამოთხვრილმა მთავრობამ სისხლის მორევში ჩაახშო კახეთის 1812-1813 წლების აჯანყება. დაიწყო სისხლიანი ანგარიშსწორება მის მონაწილეებთან. რუსმა ოკუპანტებმა ააოხრეს და გააავერანეს კახეთის მრავალი სოფელი. მთლიანად გადაწვეს შილდა, არ დაინდეს სოფ. ხაშმის ახლო მდებარე სამება-კაწარეთის მონასტერიც კი, დაწვეს ფშავის მრავალი სოფელი, ხევსურეთის 20-მდე სოფელი, მათ შორის ხევსურეთის სიამაყე - შატილი, დუშეთი და მრავალი სხვა დასახლებული ადგილი. აჯანყების მრავალი მონაწილე დატყვევების ადგილზევე ჩამოახრჩეს, ან ნელი და მტანჯველი სიკვდილის სამეუფოს - ციმბირის კატორღაში გაგზავნეს. ჩამოხრჩობილთა შორის იყო 75 წლის მოხუცი ქალი (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 929). აი, პირუტყვის დონემდე დაცემულ რუს დამპყრობელთა ნამდვილი სახე, აი, მათი „საქმენი საგმირონი!!!"

„ერთწლიანი ბრძოლების შემდეგ კახეთი გაჩანაგდა. მოსახლეობა დიდად შემცირდა. ათასობით ხალხი ბრძოლაში დაიხოცა, სხვები კიდევ დასჯის შიშით სხვა ქვეყნებში გადაიხვეწნენ" (იქვე).

რუსმა ოკუპანტებმა გააავერანეს, ააოხრეს, ფერფლად და ნანგრევებად აქციეს იმერეთის, რაჭისა და გურიის სოფლები 1819-1820 წლების აჯანყების მსვლელობაში და მისი დამარცხების შემდეგ. დამპყრობლებმა თავიანთ წინააღმდეგ მთელი იმერეთი ჯერ კიდევ 1810 წელს, ე.ი. იქ შეჭრის პირველსავე წელს, აიმხედრეს. აკი ასეც წერდა მაშინ იმერეთის მმართველი გენერალი სიმონოვიჩი კავკასიის მთავარმმართებელ გენერალ ტორმასოვს: „იმერეთში ახლა არ მოიპოვება კაცი, რომელიც ჩვენი მომხრე იყოს"-ო (კავკ. არქეოგრაფ. კომისიის საბუთები, ტ. IV, გვ. 358). არ დაიშუროთ არავითარი იარაღი იმერეთის დასათრგუნადო, - უბრძანებდა ეს უკანასკნელი სიმონოვიჩს (იქვე).

1810 წელს ცეცხლითა და მახვილით დაპყრობილ იმერეთში კოლონიური მონობის უმთვარო ღამე ჩამოწვა. რუს ოკუპანტთა იგივე პარპაში, უსამართლობა, ეროვნული ჩაგვრა, სისასტიკე და ზღვარდაუდებელი მხეცობა, ზუსტად ისეთივე, როგორც მთიულეთისა და კახეთის მაგალითებზე აღვწერე. ამას ზედ დაერთო რუსეთის საეკლესიო ხელისუფალთა, სახელდობრ, ქართველი ხალხის მოძულისა და დაუძინებელი მტრის, საქართველოს ეგზარქოს თეოფილაქტე რუსანოვის წრეგადასული თავხედური მოქმედება დასავლეთ საქართველოში ქართული ეკლესიის რუსეთის იმპერიისათვის დასამორჩილებლად და ჩვენი ეკლესიის ქონების ხელში ჩასაგდებად.

*აკაკი მათიაშვილი*

*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,*

*პროფესორი*

# როდემდე ამდენი თვალთმაქცობა!

გაზეთი „ქუთაისის" 2002 წლის 23 იანვრის №5-ში გამოქვეყნდა ქრისტინე მაჩალაძის ინტერვიუ „გენერალ" გია ყარყარაშვილთან, ამის შესახებ მხოლოდ ერთი შეიძლება ითქვას - საქმე გვაქვს მტკნარ სიცრუესთან, თვალთმაქცობასა და უზნეობასთან.

რესპონდენტის აზრით, თურმე „დამოუკიდებლობის მოპოვება ბევრად იოლი აღმოჩნდა, ვიდრე მისი შენარჩუნება".

მხოლოდ ერთხელ ითქვა ხსენებულ ინტერვიუში სიმართლე: წითელი ინტელიგენციის დაფინანსებითა და უცხო ქვეყნის ჯარების დახმარებით კრიმინალურმა ბანდებმა მოახერხეს ბრძოლით მოპოვებული დამოუკიდებლობისა და თავისუფლების წართმევა (დროებით! რადგან ბრძოლა დღესაც გრძელდება!), ამაში კი გია ყარყარაშვილის „ღვაწლი" ლომის წილად ჩანს.

რესპონდენტის თქმით, ეროვნული გვარდიის შექმნა თ. კიტოვანთან, თ. სიგუასთან და სხვებთან (აქ ნაგულისხმევი „სხვები", ალბათ, ყველა პუტჩისტია - ა.ბ.) არის დაკავშირებული, რომლის საფუძველზეც ქვეყნის შეიარაღებული ძალების მშენებლობა დაწყებულა თურმე.

რომელი ქვეყნის? - რომლის ხელისუფლება ფინია ძაღლივით კუდამოძუებული ელაქუცება აგრესორებს?! რომელი შეიარაღებული ძალები? - რომლებიც მოროდიორობასა და სისასტიკეში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს?!. და ბოლოს, ეროვნული გვარდიის შექმნა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და პირველი და ჯერჯერობით უკანასკნელი კანონიერი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ძალისხმევასა და ტიტანურ შრომასთანაა დაკავშირებული. ერთგული და ჭეშმარიტი გვარდია სამხედრო კრიმინალური გადატრიალების შემდეგ უშეღავათო ბრძოლებით იცავდა კანონიერ ხელისუფლებას, ხოლო დანარჩენი გვარდიელები, უბრალოდ, კრიმინალები გახდნენ.

გ. ყარყარაშვილი კმაყოფილია თავისი წარსულით, ანცკოთი კი ამაყობს კიდეც. კერძოდ, თურმე ის „რაღაც ეტაპზე თავზეხელაღებული იყო, შემდეგ მიმტევებელი და მორწმუნე" გახდა.

ღმერთმა დამიფაროს განსჯისაგან, ჩემს წერილში მხილებაა მხოლოდ და მეტი არაფერი. რესპონდენტისა და „ძმათა მისთა" თავზეხელაღებულობა ნამდვილად გამოჩნდა 1991-93 წლებში და დაეტყო კიდეც თბილისს, სამტრედიას, სენაკს, ფოთს, ზუგდიდს, სოხუმს... და, საერთოდ, საქართველოს. ისე კი უმჯობესია, ევედროს ღმერთს, რომ მის მიმართ მიმტევებელი ერი იყოს, რამეთუ მისი ცოდვა უმძიმესია ქვეყნის წინაშე. რაც შეეხება მორწმუნეობას, მოციქულთა სწავლებით „რწმენა მკვდარია საქმეების გარეშე". აქ კი ჩვენი რესპონდენტის საქმეები საყოველთაოდ ცნობილია წარსულითაც და აწმყოთიც.

და ბოლოს, გ. ყარყარაშვილი ყველას ყველაფერს პატიებს „ღალატის გარდა".

თვალთმაქცობა და უმსგავსობა აპოგეას აღწევს: თვით „მღერდა" უპატიებელზე, ღალატს შეჩვეული, თურმე სხვას იგივეს ვერ პატიებს(?!). არადა რამდენჯერ უღალატა კანონიერ ხელისუფლებას, როცა პინგ-პონგის ბურთივით ხტოდა ერთი მხარიდან მეორეს (სხვა მოღალატეებთან ერთად).

როგორც იქნა, ინტერვიუ მთავრდება. აქ კი გვახარებს ჟურნალისტი ქ. მაჩალაძე თავისი მინაწერით, რომელიც იმდენად იმედიანია, რომ „გული საგულეში ჩავიდა": „ასეთი ვაჟკაცები ხომ წამალივით ჭირდება ერს".

ქ-ნო ქრისტინე, მაგისნაირები მართლაც წამალივით სჭირდება დე ფაქტო ხელისუფლებას და არა ქართველ ერს! და კიდევ, იმედიანი ფრაზა - „თავის სიტყვას ხმალივით იშიშვლებს სამშობლოსა და ხალხის საკეთილდღეოდ". გ. ყარყარაშვილის „სიტყვისა და ხმლის სიშიშვლის" შედეგი ყველამ კარგად იცის და ეს სახელმწიფო გადატრიალების შედეგად დაშლილი, დანაწევრებული, გაყიდული და გალატაკებული საქართველოა გამეფებული კორუფციით, რეგიონალურ კლანთა ურჩობით, აგრესორთა თავგასულობით, მოსახლეობის 1%-ის მილიონებით და 99%-ის დამათხოვრებით...

*აკაკი ბაქურაძე*

# თვითმხილება ტელევიზიის ეკრანიდან

1991-92 წწ. სისხლიანი გადატრიალების 10 წლისთავთან დაკავშირებით, „რუსთავი-2"-ის „ღამის კურიერის" ეთერით მრავალმა ნაცნობმა ოდიოზურმა სახემ გაიელვა. თავიანთი მონაყოლით ისინი თავის დასაკლავ დანას თხრიდნენ.

...დრო მოვიდა... და ისინიც ალაპარაკდნენ; ალაპარაკდნენ თავისთავად. სხვის ძალდაუტანებლად. დიახ, მათ 10 წლის შემდგომ იწყეს ჩადენილი უმძიმესი დანაშაულის გამოაშკარავება, მასში პირადი წვლილის მხილება და დადასტურება. აისბერგი დაიძრა... მას ვეღარაფერი შეაჩერებს. როგორც ჩანს, 10-წლიანი წყვდიადი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში თავის აგონიის წუთებს ითვლის. ამ გადაცემებთან დაკავშირებით მრავალი დაიწერა და კიდევაც დაიწერება, - არც მე ძალმიძს გვერდი ავუარო სათქმელს ბუნებრივი პროტესტის გრძნობით, რადგან მწადია, რომ ამით მაინც მივწვდე მათ... როცა ისინი სამზეოზე მოგვითხრობდნენ ყორღანაშვილ-ბალვამ-უნდილაძე-ორჯონიკიძეთა საქმეებს, - ჩვენს შორის ეკრანი იყო აღმართული, ამიტომაც სივრცეში გულის სიტყვას კალმის მეშვეობით ვგზავნი მათი ხელებისაკენ - ყური დამიგდეთ!

წერილი მსურს იყოს გარკვეულად ორიგინალური და მკაცრად რადიკალურიც, ვინაიდან ამაღლებული, ზემიწიერი ვალდებულებანი საზღვრებს არ ცნობს, ჩარჩოში ვერ ეტევა და ყოველგვარ წინააღმდეგობრობას რწმენის ძალითა და სიმართლის ხმით ერთნაირად ანადგურებს. დღეს ჩემსა (პირობითად ვამბობ პირველ პირში, მასში თითოეული ჭეშმარიტი ქართველი იგულისხმება) და მათ შორის დიდი მანძილია, მაგრამ ჩვენ არ ვიმყოფებით ერთ სიბრტყეში - აქ დიდი სხვაობაა, ვითარცა უფსკრულსა და სივრცეს შორის. ჩვენ შორის დროის ფაქტორი კი მინიმალურია, ვინაიდან 6000-წლოვანი ქართული მოდგმისათვის 10 წელი ხსენებადაც არ ღირს. მამ, ჩვენ უსასრულობამდე განფენილი გლობალური სივრცის ერთი მოკიაფე წერტილის - ქართული მიწა-წყლის მკერდზე ვეტევით და ჩვენი ბრძოლაც აქედან გამომდინარე ერთობ მძაფრი და დაუნდობელი ხდება, ვინაიდან რაც არ უნდა მოხდეს, გვერდს ვერასოდეს ავუვლით ერთმანეთს. კარგად ვიცნობ მათ: „სახელი მათი ლეგიონია", - რაც მარადჟამს ებრძვის, ებრძვის და ვერ ამარცხებს მიუწვდომელს, უსასრულს, დაუსაბამოს, ყოვლისმომცველსა და ყოვლისმპყრობელს, ხოლო მისი სახით ადამის მოდგმისათვის ამქვეყნიურ საუნჯეს - სამშობლოს სიყვარულსა და ერთგულებას, მისი თავისუფლებისა და ბედნიერებისაკენ კურთხეულ შინაგან ლტოლვას. „ლეგიონს" არ შეეძლო ყოველივე ამის პატიება სანატრელი პრეზიდენტისათვის, რადგან ეს მთლიანობაში ძალზე წმინდაა, ძალზე მშვენიერი, ფაქიზი, რასაც ვერასოდეს მისწვდებიან მარტოდენ მიწაზე მცხოვრებნი...

შეგნებულად არ ვეხები იმას, რაც მათ ისაუბრეს. ამის განხილვას და თითოეული ფრაზისათვის პასუხის გაცემას ერთი წერილი არ ეყოფა და არც მიმაჩნია ეს საჭიროდ. მთავარი სათქმელი წინ მაქვს და რადგან ჩვენ პაწაწინა საქართველოს სხეულზე ვხვდებით ერთმანეთს, - ჯიქურ მსურს მივახალო სიმართლე - დრომ ათი წლის თავზე სივრცეში თუმცა ძალიან მიგვაახლოვა უკვე და აჰა, საცაა მივწვდები და ერთიანად მოვამთობ ყველას, მაგრამ ვწუხვარ, ჟამი ამისა მაინც არ დამდგარა ჯერ. კრთოდეთ ცოდვიანნო - ეს ჟამი ახლოვდება და ჩვენში არნახული, არაბუნებრივი მუხტი გროვდება, რომლის წინაშე ყოველგვარი ძალა ბომონებზე მდგარი კერპებივით შეუსვენლად ნაცარტუტად იქცევა ხოლმე...

ყველაზე მეტად შემზარავი იყო ის თავხედობა, როცა ურჯულ სახეთა და საქმეთა ფონზე ნათელმოსილი ეროვნული გმირი ბატონი ზვიად გამსახურდია უნდა გვეხილა... და უნდა აგვეტანა ეს ცინიზმი, შეურაცხყოფა, რომ აი, ასე „დამარცხდა" ზვიად გამსახურდია, ასე წააგო მან ომი და „გაიქცა" სადღაც შორს, ბოლოს კი, ნატყვიარი ისევ სამშობლოს მიღმა „გადაასვენეს"... ისინი ხარხარებდნენ, კმაყოფილებით იბღინძებოდნენ, ნიშნის მოგებით საუბრობდნენ, ხოლო ლეგენდადქცეული პრეზიდენტი კი ღამეებს ათევდა ქვეყნის გადარჩენისათვის ლოცვაში, მისი სახიდან ზემიწიერი, არაადამიანური სიმშვიდე და სევდა იღვრებოდა, გამოხედვაში კი გაუტეხელი ბუნება და შორს გამიზნული წინასწარჭვრეტის უტყუარი ალღო. მისთვის აწმყო გარდაუვალი, ხოლო მომავალი ნაცნობი იყო. ეს საოცარი ადამიანი, ალბათ, ბოლომდე არც იჯერებდა, რომ თავისივე თვისტომთ ასე სძულდათ იგი, სძულდათ ისიც, რაც მას ასე უყვარდა - საქართველო, კი მაგრამ რატომ?! ვითომდა ერთგვარი ზმანება მწარე სიცხადედ უნდა ქცეულიყო... ჩვენ წინ გამოფენილი ბილწი მოდგმა ერთიანად იკარგებოდა და ისრისებოდა მისი სიმღერის წინაშე; ღმუოდა მისი დაუტევნელი სიყვარულის შუქზე; სულს ლაფავდა მისი დაუმარცხებლობისა და გარდაუვალი სამომავლო გამარჯვების შიშით...

კარზე აკაკუნებს ერის სამსჯავრო და „ვისა ეშინოდეს" - ჩვენ ვბრუნდებით უფლის სახელით მომავალნი, წინ კვლავ ნაცნობი ხმა მიგვიძღვის და ავამ მე, იმ წუთს...

6 იანვარს შესანიშნავი საშობაო საჩუქარი მოგვიძღვნეს. რაც არ უნდა ტენდენციურად წარმართონ ეს გადაცემები, მაინც კარგია, რადგან ისინი უბრალოდ ყველაფერში საკუთარ თავს და ერთმანეთს ააშკარავებენ, ნიღაბს თავისივე ხელით იგლეჯენ და ჩვენც ეს გვინდა... იქნებ დღემდე ვინმეს არ ეგონა, თუ მძორადქცეული ლეშები იყვნენ თ. კიტოვანი, თ. სიგუა, ჯ. იოსელიანი, ე. შენგელაია, ი. სარიშვილი, გ. ჭანტურია, ა. ასათიანი... ასე მლიქვნელი და გამყიდველი ა. აბაშიძე... ამჯერად კი თვალხილულნი და სალად მოაზროვნენი განსჯიან ვინ ვინ არის! განსჯიან და შეიძულებენ, შეიძულებენ და შეაფურთხებენ, შეაფურთხებენ და საშვილიშვილოდ მოიკვეთენ, მოიკვეთენ და სამუდამოდ დასწყევლიან - მეტი სასჯელი რაღაა?!

გადაცემათა ნაცნობმა გმირებმა და განსაკუთრებით ა. აბაშიძემ განსაკუთრებული მოწიწება გამოხატეს ჩვენი ქვეყნის უბოროტესი მტრის ე. შევარდნაძისადმი. სხვათა პოზიცია ისედაც ნათელია და ნაკლებად გულისამრევი, ვიდრე შესამური ფარისევლობის მატარებელი აბაშიძე - ამ „ეროვნული მოღვაწეობისა" და „თავგადადებული პატრიოტისა". მის მიერ ვეღარ დამალული სიმპათიისა და ერთგულების (ე. შევარდნაძისადმი) ფონზე ფარისევლური სითბოთი მრავალგზის ნახსენები „ბატონი ზვიადი" და მათი „კეთილგანწყობილი" თუ „მეგობრული" ურთიერთობა. დღეს ა. აბაშიძეს ცოდვები კიდევ უფრო დამძიმდა, - თუმცა ყოველივე უნდა აღსრულდეს...

რაც მთავარია, კიდევ ერთხელ გამოიკვეთა ე. შევარდნაძის სახე, მაგრამ ეს მხოლოდ დასასრულის დასაწყისია - მასზე ჯერ მისი „თაყვანისმცემლები" ალაპარაკდებიან და გამოაფენენ ყველა მის „ნამოღვაწარს", - წარსულს კი ჩვენ ვიტყვით, ბოლო სიტყვა ჩვენია!

მხილებისა და პროტესტის მოვალეობა უსასრულო წესის შესაძლებლობას მაძლევს, მაგრამ რეალობისაგან მოუწყვეტლად მსურს, მივმართოთ ჩვენი დალოცვილი სამშობლოს მოღალატეებსა და დამაქცევრებს, საუკუნეებში ერთხელ განმეორებადი ქართველის - ზვიად გამსახურდიას მკვლელებსა და მოშურნეებს:

როცა მიქაელ მთავარანგელოზი ეშმაკს ერკინებოდა, ზეციურმა არხისტრატმა ამ სიტყვებით მიმართა უფლის მტერს: „გრისხავდეს ღმერთი!"

მე გეუბნებით: ჭეშმარიტად, ეშმაკის მოდგმისანი ხართ თქვენ...

*ლილი არაბული*

## ღმერთმა აცხონოს ეროვნული ღირსების დაცვისათვის ბრძოლებში დაღუპული გმირები



**მამუკა ცხადაია**

დაიბადა 1958 წლის 23 მარტს ქალაქ ზუგდიდში. დაამთავრა №1 საშუალო სკოლა. 1984 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია. მუშაობდა მეთორმეტე სამშენებლო ტრესტში არქიტექტორად.

დაიღუპა 1992 წლის 28 იანვარს სოფელ ცაიშთან, ხუნტის ჯარების პირველი შემოსევის დროს.



**გენადი ბოხუა**

დაიბადა 1968 წელს სენაკის რაიონის სოფელ ნოსირში. 1985 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა. სპორტსკოლაში სწავლობდა ჭიდაობის განხრით და მიიღო პირველი ხარისხის დიპლომი. სამხედრო სამსახურის მოხდის შემდეგ სწავლა განაგრძო სამწლიან სამხედრო სასწავლებელში. 1990 წელს დაუბრუნდა მშობლიურ რაიონს, მუშაობა დაიწყო რკინიგზის სკოლა-ინტერნატში სამხედროს მასწავლებლად. იმავე წელს შევიდა გვარდიაში, იბრძოდა სამაჩაბლოში, იცავდა კანონიერ ხელისუფლებას.

1992 წლის 28 სექტემბერს დაიღუპა სენაკში ძმათამკვლელ ომში.



**შაქრო შიშინაშვილი**

დაიბადა 1930 წლის 25 დეკემბერს ამბროლაურის რაიონში. შაქრო შუადღისას მიემგზავრებოდა ზუგდიდისაკენ.

ის 1952 წლიდან ცხოვრობდა ზუგდიდში. ამ დროს „მხედრიონელები" გამოჩნდნენ, რომლებიც გამვლელ მანქანებს ძარცვავდნენ. „მხედრიონელებმა" მასაც დაუყვირეს: „გააჩერე მანქანა და გადმოეთრიე!" შაქროს წინააღმდეგობა არ გაუწევია, მხოლოდ უთხრა: „რა გინდათ, ბიჭებო?" ამის თქმა იყო და მაშინვე ავტომატის ჯერი დაახალეს. მეუღლე, რომელიც გვერდით იჯდა, გადმოათრიეს, სცემეს და სიტყვიერი შეურაცხყოფაც მიაყენეს. ნაყიდი პური თავზე დააყარეს. მკვდარი შაქრო მანქანიდან გადმოათრიეს და იქვე დააგდეს, მანქანა კი გაიტაცეს. მკვლელებს მანქანა გზაზე გაუფუჭდათ და იქვე დატოვეს.

რედაქცია მკითხველს თხოვს გამოგვიგზავნონ ბიოგრაფიული ცნობები განვლილ 10 წლიწადში საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დაცვისა და აღდგენისათვის დაღუპულ გმირთა შესახებ.

# 25 თებერვალი – საქართველოს ოკუპაციისა და ანექსიის დღე

**კოლაუ ნადირაძე**

## 25 თებერვალი, 1921 წელი

თოვდა და თბილისს ებურა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი,
ძილღვიძრად იყო ქალაქი ჩემი,
სამშვილეებს კვლავ სჭედდა გრდემლი –
ისევ გოლგოთა, სისხლი და ცრემლი!
მშობელო დედავ, ისევ გაგყიდეს,
ისევ წამების ჯვარი აგკიდეს,
არ შეგიბრალეს, კვლავ არ დაგინდეს!

თოვდა და თბილისს ებურა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი.
დაცხრა კოჯორი და ტაბახმელა,
მხოლოდღა თოვლი ცვიოდა
ნელა.
ეფინებოდა გმირების
გვამებს –
განგმირულ მკერდებს,
დალეწილ მკლავებს,
და უძრავ იყო თებერვლის
ღამე.
თოვდა და თბილისს
ებურა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი.
იმ გზით, სად წინად
ელავდნენ ხმლები,
სად სამას გმირთა
დაიფშვნა ძვლები,
სად ქართლის დედის
ცრემლით ნანამი
მძიმედ დაეშვა ჩვენი ალამი,
სად გმირთა სისხლით
ნაპოხიერი,
თოვლს დაეფარა კრწანისის
ველი, –
წითელი დროშით,
მოღერილ ყელით,
თეთრ ცხენზე მჯდომი,
ნაბიჯით ნელით
შემოდიოდა სიკვდილი ცელით!
თოვდა, და თბილისს ებურა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი.

*25 თებერვალი, 1969 წ.*

**კოტე მაყაშვილი**

## მარო მაყაშვილს

...არც სიცოცხლის, არც სიკვდილის აღარა მაქვს ხალისი,
თებერვალმა დამიზამთრა სამუდამოდ მაისი!
გულზე სევდა შემომაწვა თავის მძიმე ლოდებით...
საქართველო გაიულინთა მაყაშვილთა გოდებით...
სამშობლო თუ შენ – რომელი, ახ, ვიცით
რომელი?!
დავდნი ცრემლად ორივესთვის სხვათა
ცრემლთა მშრობელი!..

**ალექსანდრე აბაშელი**

## შორეული ნაპირი

...და ერის ტანჯვის გამომსახველი
იზრდება გულში ორი მწვერვალი,
ერთი ნაღველის ორი სახელი:
კრწანისის ველი და თებერვალი...

## თებერვალმა დამიზამთრა სამუდამოდ მაისი...

1921 წლის თებერვალი ტრაგიკულის სინონიმად იქცა ქართველი ხალხისათვის.

1921 წელი – საქართველოს ვერაგულად დაპყრობა: მთელი ქართველი ერის არსებობა ეჭვის ქვეშაა, მისი ინტერესები კანონგარეშედაა გამოცხადებული.

11 თებერვალს კომუნისტურმა რუსეთმა დაარღვია 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულება და სომხეთიდან შემოიჭრა საქართველოში, 15 თებერვალს გახსნეს ახალი ფრონტები: აზერბაიჯანიდან საზღვარი გადმოლახა მე-11 წითელმა არმიამ, ჩრდილოეთ კავკასიიდან, დარიალის ხეობიდან, მამისონის უღელტეხილით და შავი ზღვის სანაპიროთი, სოჭის მიმართულებით, შემოიჭრნენ მე-8, მე-9 და მე-13 არმიების ნაწილები.



ჯვრის ჩამოგდება და წითელი დროშის აღმართვა ქუთაისის საკათედრო ტაძარზე 1923 წელს; ამავე წელს კომუნისტებმა ეს ეკლესია დაანგრიეს.

ახალფეხადგმული სახელმწიფოსათვის ასეთი ვერაგული თავდასხმის მოგერიება ძნელი აღმოჩნდა.

„საქართველო განსაცდელშია!"

„ქართველსა გული რკინისა" – ამ სიტყვებით დაულოცნია თბილისის უნივერსიტეტის რექტორს ივანე ჯავახიშვილს საომრად გამზადებული სტუდენტობისათვის გზა, მათ შორის იყო კოტე მაყაშვილის ქალიშვილი, მარო მაყაშვილიც.

17-18-19 თებერვალი... 19 თებერვალს მაროს გვერდით გამსკდარმა ყუმბარამ არც კი დააცალა უკანასკნელი სალამი ეთქვა სამშობლოსა და მშობლებისათვის.

25 თებერვალს თბილისი დატოვებულ იქნა ქართული ჯარის ნაწილების მიერ. ბრძოლები ახალ ხაზზე სამ კვირას გაგრძელდა.

1922 წელი გლოვით იწყება. შავი თებერვალი კიდევ უფრო მწუხრდება. მოსწავლე-ახალგაზრდობის სამგლოვიარო საპროტესტო დემონსტრაციები... ჩეკისტთა ბრბოები ყველგან შეუბრალებლად უსწორდებიან ნორჩ თაობას...

სამი თვის შემდეგ 24-25-26 მაისს ეწყობა მასობრივი გაფიცვები, დემონსტრაციები, თბილისსა და შორაპარნში მათ ტყვიებით უმასპინძლდებიან, ხოლო გურიაში ბომბებს ესვრიან.

1923 წელი – დამპყრობთა სისხლიანი ბუნება უფრო მძლავრობს: მარტო ერთ ღამეში დახოცეს 200 პოლიტპატიმარი, რომელთა შორის იყვნენ პროფესორები, მოსწავლეები, სტუდენტები, მუშები და გლეხები.

1924 წელი – ყველაზე საშინელი, ყველაზე მტკივნეული წელი.. სამი წლის წამებით მოთმინებიდან გამოსული ერი იარაღით გამოდის მოსისხლე მტრის დასამხობად, მაგრამ თავისუფლების მოყვარული ხალხი მარცხდება. დახვრეტილია I, II, III, IV, V ათასეული... მეამბოხეთა სახლ-კარის გადაწვასთან ერთად მათ ცოლ-შვილებს დაუნდობლად ხვრეტენ. ჭიათურისა და საჩხერის მიდამოებში, დაპატიმრებული მოქალაქეებით სავსე სამ „ტეპლუშკა" ვაგონს ზესტაფონსვირს შუა ტყვიამფრქვევებს უშენენ და ერთიანად ულეტენ.

უკანონო, პუტჩისტურმა ხელისუფლებამ მუსრი გაავლო ქართველებს.

1921 წლის თებერვალში ახალწარმოქმნილმა რუსეთის საბჭოთა იმპერიამ და ასევე ახალშობილმა ქემალისტური თურქეთის იმპერიამ საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი ხელისუფლების ზურგს უკან ერთმანეთთან დადეს შეთანხმება-ხელშეკრულება და გაინაწილეს საქართველოს ტერიტორია: ქუთაისისა და თბილისის ე.წ. გუბერნიები წილად ხვდა რუსეთს, რომელმაც შექმნა საბჭოთა კავშირი – მოდერნიზებული იმპერია. საქართველოს ისტორიული მხარე – მთელი ჭოროხის ხეობა და მტკვრის ზემო წელის ქართული რეგიონები (არტაანი, კოლა) – თურქეთს... ჩვენი თანამედროვენი დღეს რატომღაც მხოლოდ რუსეთის მიერ „გაწითლებულ" საქართველოს ნაწილზე ლაპარაკობენ სოჭის რეგიონის ჩათვლით; რატომ ვივიწყებთ ისტორიულ ჰერეთს (საინგილოს), ლორეს, ისტორიული მესხეთის დიდ ნაწილს – წინაპართა ნალოლიავებ ტაო-კლარჯეთ-შავშეთ-ერუშეთ-ლივანა-მაჭახელა-იმერხევ-თორთუმს...

1991-93 წლებში საერთაშორისო გარიგებით კიდევ ერთხელ დაემხო დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკა; ამჯერად საქართველო ახალ მოდერნიზებულ იმპერიაში ე.წ. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შეიყვანეს...




**საბჭოთა კავშირის იდეოლოგთა დევიზი:
ერების გასანადგურებლად,
პროლეტარებო ყველა ქვეყნისა
შეერთდით!**

**საბჭოთა კავშირის პირმშო**




ალექსანდრე ელენტის კოლაჟი

საქართველოს ეროვნული ხსნის მოძრაობა-წინააღმდეგობის ფრონტი იუწყება ამავე ორგანიზაციის ინტელიგენციის დარბაზის წევრის, საქართველოს დამოუკიდებელ ჟურნალისტთა ლიგის თავმჯდომარის გელა ჯილაურის ძმის

**ანდრია დავითის ძე ჯილაურის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთი „ქუჯის" რედაქცია თანაუგრძნობს საქართველოს დამოუკიდებელ ჟურნალისტთა ლიგის თავმჯდომარეს გელა ჯილაურს ძმის

**ანდრია დავითის ძე ჯილაურის**

გარდაცვალების გამო.

**გამომცემელი და მთავარი რედაქტორი**
**ტარიელ ფუტკარაძე**

**რედაქტორები**
ლელა ხაჭაპურიძე
ონისე ბანძელაძე

**რედაქციის მისამართი:**
ქუთაისი, ქუჩაძის 32
☎ (8 231) 2–16–03; (8 77) 47–69–05
ელ. ფოსტა: kuji@posta.ge
გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/kugi

გაზეთი რეგისტრირებულია ქუთაისის საქალაქო სასამართლოში №12/5/ე–4818

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. გამოქვეყნებულ წერილებში წარმოდგენილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.